საერთო საქმე

№41 (499) • 14 ნოემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

არჩევნები კი არა დიდგორია ეს, 21-ე საუკუნის ახალი დიდგორი!

ასპარეზზე გამოდის მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი!

მე ვიცავ თავისუფლებას!

„ქართულ ოცნებას“ ქართველი ხალხის წინაშე მორალური უფლება არა აქვს, ეს არჩევნები წააგოს

სიმართლე უნდა დადგინდეს. რატომ გაურბიან სიმართლის გამოაშკარავებას?

არა ნაცჯალათებს! არა ნაცსადისტებს! არა ნაცბანდიტებს! არა ნაცმოღალატეებს!

სალომე ზურაბიშვილს ქართული მწერლობა სრულ ნდობას უცხადებს!

ერთად საქართველოსთვის!

მე ვიცავ თავისუფლებას!

პოლიტიკური პროსტიტუცია ქართულად და ღალატის ფასი

სააკაშვილმა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად შეასრულა რუსეთის ხელისუფლების ყველა დავალება

როგორ გააყალბა საპრეზიდენტო არჩევნების I ტური „ცოცხილონალურმა მოძრაობამ“

ბელადი მიხოს ჰარამხანა გაერთიანდა!

დიახ, არჩევნები კი არა დიდგორია ეს, 21-ე საუკუნის ახალი დიდგორი!

ასპარეზზე გამოდის მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი

მეორე ტური — ეს არ არის ბრძოლა პრეზიდენტობისთვის ორ კანდიდატს — ზურაბიშვილსა და ვაშაძეს შორის, მეორე ტური — ეს არ არის დაპირისპირება ორ პოლიტიკურ ძალას, „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის, მეორე ტური — ეს არ არის შეჯიბრი ამ ორი ძალის მხარდამჭერებს შორის.

მეორე ტურში ასპარეზზე გამოდის ახალი, დამოუკიდებელი მოთამაშე — მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი, რომლის მიზანია — საკუთარი სამშობლოს, საქართველოს, გადარჩენა.

ეს არის ის 2 მილიონამდე ქართველი, რომელიც პირველ ტურში არჩევნებზე არ მივიდა, რითაც თავისი პროტესტი და უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა მთლიანად იმ პოლიტიკური სპექტრისადმი, რომელმაც ქართულ სახელმწიფოს ვერ უპატრონა.

ახლა ქართველი ხალხი თვითონ აპირებს თავის ქვეყანას უპატრონოს და არჩევნების დღეს „ნაცმოძრაობის“ სახით კარზე მოდგარ მტერს და მოკალადეს საკადრისი პასუხი გასცეს.

მეორე ტურის არჩევნების დღე ეს არის ახალი დიდგორი 21-ე საუკუნის საქართველოსთვის, სადაც ერთ მხარეს დგას უახლესი პოლიტტექნოლოგიებით აღჭურვილი ყველაზე უტიფარი და ქვებუდანი მტერი, რაც კი ოდესმე საქართველოს ჰყოლია, მეორე მხარეს კი 2 მილიონი ქართველი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ თუ დღეს ამ ბრძოლას დათმობს, ამით დათმობს აწმყოსაც და მომავალსაც.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ახალი დიდგორის მოგების შემდეგ აუცილებლად დაიბადება თვისობრივად ახალი საქართველო, რომელიც, ამიერიდან, პოლიტიკური პარტიების ნება-სურვილს კი არ გაჰყვება მორჩილად, არამედ თვითონ გახდება მოვლენათა მთავარი წარმმართველი ძალა.

●

თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.

„ნაცმოძრაობამაც“ თხარა, თხარა და მეორე ტური გამოთხარა, რომელიც მას აუცილებლად გადასანსლავს თავის განაყოფებიანად და ბიძაშვილ-მამიდაშვილებიანად.

მეორე ტური „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ საფლავად იქცევა, საიდანაც ის ვერასოდეს ვერ მოახერხებს ფაშოდგომას და რეინკარნაციას.

რა მაძლევს ამის თქმის საშუალებას?

რა მაძლევს და ის, რომ „ნაცმოძრაობამ“ I ტურში მთლიანად ამოწურა ყველა რესურსი, ის მეორე ტურში თითქმის იმავე რაოდენობის ხმებს მიიღებს (შეიძლება, უფრო ნაკლებს), რაც პირველ ტურში მიიღო.

ამომრჩეველთა 54%-იდან, რომელიც I ტურში არჩევნებზე არ მივიდა, ერთი პროცენტიც კი არ არის „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი.

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებიდან I ტურში არავინ დარჩენილა სახლში, სახლში დარჩნენ „ქართულ ოცნებაზე“ მიზეზთა და მიზეზთა გამო განაწყენებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და ის ადამიანები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი ჩარევის გარეშეც „ქართული ოცნება“ ადვილად დაამარცხებდა „ნაცმოძრაობას“.

ამ 54%-ის უმრავლესობა მეორე ტურში აუცილებლად მივა არჩევნებზე, რომ ხმა „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ მისცეს და ამით გამორიცხოს „ნაცმოძრაობის“ ბნელი და ფაშისტური რეჟიმის ხელისუფლებაში მობრუნება.

ამ არჩევნებში გამარჯვების მთავარი მოტივი ის არის, რომ კარზე მომდგარი მტერი შევაჩეროთ, ამისთვის კი აუცილებელი პირობაა ხმა სალომე ზურაბიშვილს მივცეთ, მოგვწონს თუ არ მოგვწონს იგი.

●

მტერი! — ბევრჯერ ვახსენე ეს სიტყვა ამ წერილში.

— მტერი კი არა, ისინი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან! — შემომედავებიან, ალბათ.

— დიახ, ისინი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეც შეიძლება იყოს მტერი და თან გარედან მოსულ მტერზე უფრო საშიში მტერი.

საქართველოს ისტორია ამ შინაური მტრების, ამ შინაური დამპყრობლების მიერ უამრავჯერ გაუბედურებული ქვეყნის ტრაგიკული ისტორიაა.

ასე რომ, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი ზოგჯერ სულაც არ გამოდგება იმის დამასაბუთებელ დოკუმენტად, რომ ესა თუ ის ვიგინდარა, ქართული გვარ-სახელით, საქართველოს დიდი პატრიოტია.

რამდენიც არ უნდა იფარისევლონ ნაციონალებმა, რამდენიც არ უნდა იდემაგოგონ, ფაქტი სახეზეა: მათ მიერ ჩადენილი საქმეები ეს არის სახელმწიფოს ინტერესების ღალატის გრძელი, ერთმანეთზე გადაბმული ჯაჭვი, ქვეყნის ღია და დაუფარავი მტრობა, ხოლო მათ მიერ ბოლო დროს ჩადენილი დანაშაული — ქვეყნის პრეზიდენტად თხემით ტერფამდე რუსი პოლიტიკოსის,. რუსეთის ზესაიდუმლო სამსახურების მაღალჩინოსანი თანამშრომლის გრიგოლ ვაშაძის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენა, თავისი ცინიზმით და უტიფრობით ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

ამხანაგი გრიგოლი, რომელიც ზოგჯერ ისეთ სიბრიყვეებს დაახეთქებს, რომ მის ჭკუათმყოფელობაში ეჭვიც კი შეგეპაროს, არც მალავს, თუ რა დავალება აქვს მიღებული თავისი პატრონებისგან — ქვეყანაში დესტაბილიზაციის და არეულობის პროვოცირება:

— მე, პრეზიდენტის რანგში, ვინ დამიშლის პოლიტიკურ პროცესებს ჩავუდგე სათავეში და ქუჩაში 50 000, 100 000 ადამიანი გამოვიყვანო? — აცხადებს ვაშაძე და ვერც კი ხვდება, რომ ეს არ უნდა ეთქვა.

ასეა თუ ისეა, ცხადზე ცხადია: მტერია ამხანაგი გრიგოლი, მტრის მიერ სააკაშვილის ხელით გამოგზავნილი ბომბია, რომლითაც საქართველოს უპირებენ აფეთქებას.

დიახ, არჩევნები კი არა დიდგორია ეს, 21-ე საუკუნის დასაწყისის ახალი დიდგორი, ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის ისეთივე საბედისწერო და გადამწყვეტი მნიშვნელობის, როგორიც ათი საუკუნის წინანდელი დიდგორი იყო.

ამიტომაც ვამბობ: **ჭუდზე კაცი საქართველოს გადასარჩენად!!!**

ვახტანგ ხარჩილავა

®

P.S. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ იმ 600 000 ადამიანიდან, რომლებმაც I ტურში ხმა ვაშაძეს მისცეს, ყველა საქართველოს მტერი და მოღალატეა.

არა, ქვეყნის მტერი და მოღალატე არა, მაგრამ ამ ადამიანების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურ პარტიად წოდებული სატანისტური ორგანიზაციის „ნაცმოძრაობის“ მიერ მთელი სიმძლავრით ამუშავებული ტვინების გამომრეცხავი მანქანის მსხვერპლია. ისინი, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ტერორის ქვეშ იმყოფებიან და ამ დამთრგუნველი ზემოქმედებიდან გამოსვლას ვერ ახერხებენ.

მათ არ აინტერესებთ რეალური ფაქტები, არ აინტერესებთ სიმართლის დადგენა და გაგება — ისინი თითქოს ზომბირებულ მდგომარეობაში არიან, შეპყრობილები, მონუსხულები იმ ვირტუალურ-მოდელირებული „რეალობით“, რომელშიც ისინი „ნაცმოძრაობამ“ ცხვრის ფარასავით შერეკა და კარები გარედან დაუკეტა.

სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო ამ ადამიანების დაცვა და მათი დახსნა ამ მდგომარეობიდან.

იმედია, არჩევნების II ტურში ქართველი ხალხი დაამთავრებს ამ მარაზმატიკულ-შიზოფრენიული სექტის პარპაშს და ყველას და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

ვ.ხ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

აქა ამბავი, შესახებ იმისა, თუ როგორ გააყალბა საპრეზიდენტო არჩევნების I ტური „ცოცხიონალურმა მოძრაობამ“

რაც უფრო ძირეულად ვსწავლობ საკითხს, ვრწმუნდები, რომ ე.წ. ოპოზიციამ ხელისუფლებას არჩევნები ცხვირწინ გაუყალბა. მე რომ „ოცნების“ ადგილას ვიყო, პირველი ტურის ბიულეტენებს ხელახლა გადავითვლიდი და ეჭვიც არ მეპარება, სხვანაირი შედეგი იქნებოდა. როდესაც საკუთარი აქტივი ფარული „ნაციონალებით“ გყავს დაკომპლექტებული, ასევე კომისიის წევრები თუ შტაბების თავმჯდომარეები, უნდა იცოდე, რომ ბიულეტენებს გადათვლის დროსაც გაგიყალბებენ. მე არც ვიცოდი, პროცესებში მონაწილე ადამიანები ახლა მიყვაბიან, რომ უბნების დახურვის შემდეგ, როცა კომისიის წევრები მიუსხდნენ მაგიდას და დაიწყეს თვლა, თუ რამდენი ხმა ერგო სალომე ზურაბიშვილს, გრიგოლ ვაშაძეს, ან დავით უსუფაშვილს, სწორედ აქ დაიწყო ილუზიონისტობა. მერე რა, რომ „მავნებმა“ ზურაბიშვილი შემოხაზეს? გამოაცხადებ, ვაშაძეო... და ჩაუძახებ ულვაშას ტოპრაკაში. მთავარია, უბნის „ნაჩალნიკი“ და კომისიის რამდენიმე წევრი გყავს მოსყიდული. თითქოს დაუჯერებელია, აუცილებლად უნდა გაგიჩნდეთ კითხვა: ეს როგორ, ხმის დამთვლელ კომისიებში ხომ ყველა კვალიფიციურ პარტიას ჰყავს წარმომადგენელ-ზედამხედველი? ისევ იგივე ბანალობამდე მივდივართ, რასაც მე და ჩემნაირები ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ვამტკიცებთ, რაზეც ყოველდღე ვლაპარაკობთ — თითქმის ყველგან „ნაცები“ არიან „ოცნების“ ეგიდით, 2012-იანელები, რომლებმაც სასწორზე შეაგდეს საკუთარი ცხოვრება და არნახულ რისკზე წავიდნენ, განდევნეს, გააძევეს, პანჩური ურტყეს, სახლებში დასვეს, გული დასწყვიტეს და ხელი ჩაქნევინეს. ყველგან „ნაციონალები“ „ბლატაობენ“, მაგარ „დუხზე“ არიან. მე თითქმის ყველა სტრუქტურაში, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მყვანან მეგობრები და ისინი მაწვდიან აღმაშფოთებელ ინფორმაციებს, თუ როგორ თავხედობენ, როგორ გადადიან ყოველგვარ ზღვარს. მაგალითად, ენერგეტიკის სამინისტროში „ოცნების“ მომხრეებს უკვე მაგიდაზე ურტყამენ მუშტებს და ავალდებულებენ, რომ ხმა უნდა მისცენ გრიგოლ ვაშაძეს, ამ შემთხვევაში შეიძლება გადარჩნენ, ანუ სამსახური შეინარჩუნონ, თუ არა და აუცილებლად დაიმახსოვრებენ და წიწაკის ჭამით ამოხდიან სულს.

„ნაციონალები“ აქტიურად მუშაობენ მოსახლეობაში, მიდის ტოტალური მოსყიდვა — კოორდინატორების მიერ ერთი ადამიანის მიყვანაში იხდიან 20 ლარს. „ნაცები“ თავიანთ აგიტატორებს უხდიან 800 ლარს, კოორდინატორებს — 400 ლარს, ზონის უფროსებს — 1000 ლარს. ამავე დროს მიდის საჯარო სამსახურების თანამშრომელთა დაშინება — ურეკავენ და ემუქრებიან: დედებს მოგიტ...ნავთ, ჩვენ უკვე მოსულები ვართ, ყველას გიმახსოვრებთო! ძალიან დიდი ზეწოლაა აჭარის მოსახლეობასა და საჯარო სამსახურებზე, სკოლებსა და საბავშვო ბაღების პერსონალზე. ქუჩებში დადიან ზონდერ-ჯგუფები და ეწევიან აგიტაციას, არიგებენ ბუკლეტებს და ჟურნალებს, წინააღმდეგობის აანალიზონ.

სხვათა შორის, ბოლო დღეებში გაჩნდა კულუარული ინფორმაცია, თითქოს საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში რუსი ჰაკერებიც ჩაერივნენ და გააყალბეს გრიგოლ ვაშაძის სასარგებლოდ. მართალია, ჩვენ დღეს გვებრძვის არა ვაშაძე, არამედ რუსეთი (მავთულხლართების გადმოწევაც ამაზე მიანიშნებს), მაგრამ ეს ინფორმაცია ცოტა დაუჯერებლად მეჩვენება. როდესაც ამტკიცებენ, რუსმა ჰაკერებმა აშშ-ში ჩატარებულ არჩევნებზე მოახდინეს ზეგავლენა, საქართველო მაგათთვის არაფერიაო, აქ უნდა გავიხსენოთ, რომ აშშ-ში არჩევნები ტარდება ელექტრონული სისტემით, ხოლო ჩვენთან ბიულეტენებით. ჰაკერმა შეიძლება შეაღწიოს ელექტრონულ სისტემაში, მაგრამ რას უზამს ბიულეტენს? კონკრეტულად გაყალბება არა, მაგრამ შესაძლებელია, რუსმა ჰაკერებმა სამთავრობო სტრუქტურებიდან გაიტანონ ისეთი ინფორმაციები, რომელიც გამოადგებათ გრიგოლ ვაშაძის რუს „პიარშიკებს“.

ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია (მაჭუტაძეები) ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ არჩევნების მეორე ტურის გაყალბებას, კვლავ ძალაშია მოსახლეობის მასობრივი მოსყიდვა — სული 20–30 ლარი და რაც მთავარია, უკვე აამუშავეს თავიანთი ჭორბიურო მეთოდით: იქით შეედავე და დააბრალე ის, რასაც შენ აკეთებ, რომ აქეთ შეგრჩეს! „შტაბკვარტირიდან“ გაისმის შემოძახილები — თურმე „ქართული ოცნება“ ხალხს აშინებს, არის აუტანელი ზეწოლა მოსახლეობაზე, მიდის არნახული მოსყიდვა, დაშანტაჟება, სახელმწიფო რესურსის გამოყენება. თურმე სუსმა შეაღწია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და წაიღო დალუქული სიები, რათა გაარკვიონ, ვინ არ იყო არჩევნებზე. წარმოგიდგენიათ? ახლა სუსმა უნდა გაარკვიოს, მოსახლეობის ნახევარზე მეტიდან ვინ არ მივიდა არჩევნებზე. ალბათ „შტაბკვარტირაში“ იციან, რომ დიდ სისულელეებს ლაპარაკობენ, მაგრამ მოსახლეობის გამოლენჩებულ ნაწილზე ეს მაინც მოქმედებს. „ნაცმოძრაობის“ წარაკუა წარმომადგენლები მომენტს არ უშვებენ ხელიდან, რომ რამე არ დააბრალონ „ქართულ ოცნებას“, ამ საქმეში ზვიად კუპრავა და ლევან ხაბეიშვილი ირჯებიან ნამეტნავად. მათი სტილი ასეთია: მოგეხსენებათ, ყველა ტელევიზიაში ესენი არიან ჩამოტარებით, აიღებენ ხოლმე რაღაც ფურცლებს და პირდაპირ ეთერში აფრიალებენ. კაცმა არ იცის, რა წერია შიგ, ისინი ამტკიცებენ, რომ ვიღაცებს წაართვეს ცარიელი ბიულეტენები, რომლებსაც ხმა უნდა მიეცათ „ქართული ოცნებისთვის“. წესით, ამ დროს წამყვანებმა უნდა ჰკითხონ, საიდან იცით, რომ ეს ცარიელი ბიულეტენი „ოცნების“ მომხრეს ჰქონდა და უნდა გაეყალბებინა? არა, წამყვანები ამ დროს სიამოვნებისგან ათავებენ. ამ დღეებში აჭარელი მედია ვასაძე გამოიყვანეს „ტვ პირველის“ თოქ-შოუში, რომელმაც განრისხებული ტონით აღნიშნა: იცით, სადამდე მივიდა ეს ხელისუფლება? აი, ცოტა ხნის წინ ბათუმიდან დამირეკა ერთმა მეეზოვემ, ხმა ვაშაძისთვის მიუცია და ამის გამო ცოცხი წაურთმევიათ, ეს როგორ უნდა ვაპატიო ბიძინა ივანიშვილსო? გულში გავიფიქრე, ნახე, ჩემო თავო, როგორი სხვაობაა „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის, სააკაშვილი ყველას ცოცხს უკეთებდა, ივანიშვილი

კიდევ პირიქით იქცევა, ართმევს. ეგ რა არი, ქალბატონო მედეა, ყოფილო „ოცნებელო“, იღლიაგამხმარ მურმან დუმბაძის სულიერო დავო, უმადურობის განსახიერებავ და ბოროტების მხარდამჭერო, მეც დამირეკეს ბათუმიდან და მომიყვნენ, თუ როგორ ულოცავდნენ საარჩევნო უბნებზე „ოცნებისა“ და „ნაცების“ წარმომადგენლები ერთმანეთს სალომე ზურაბიშვილის დამარცხებას. ეს ფარისევლები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არიან „ოცნების“ ეგიდით. ჰო, კიდევ ისეთები მითხრეს, ყურო ნუ გაიგონებ, მედეას და მურმანს აჭარის მართვა უნდოდათ, ბიზნესების დათრევაც უნდოდათ, „ოცნებამ“ სამი თითის კომბინაცია უჩვენა და ამიტომაც გადაბუნძულდნენ საკაშვილის ხროვაშიო. თუმცა ბევრი ჩემი მეგობარი ამტკიცებს, ეგენი თავიდანვე გადაბუნძულებულნი იყვნენ მიშასთან, „ოცნებაში“ სპეციალურად ჩანერგესო. ახლა მიხო გპირდებათ, აჭარას თქვენ ჩაგაბარებთო და ამიტომაც ხართ გასავსავებულნი და დუჟმორეულნი. მიხო კი არის გიჟი, მაგრამ იმდენი მაინც იცის, რომ აჭარა თქვენ არ უნდა ჩაგიგდოთ ხელში, ამოგისვამთ ძონძივით და მიგყრით სადმე ნაგავსაყრელზე. მეტი საქმე არ აქვს, გამოყ...ევებულ მურმანას რამე გადასცეს სამართავად. ეგ ის კაცია, 26 მაისს აქციის დარბევისას ხელი რომ სტაცეს და ჩაიკუკა, პოლიციელებმა ავტობუსიდან ჩამოაგდეს, სუნი აგდისო. 2012-ში ყოველდღე „ქართული ოცნების“ ოფისში იყო აყუდებული გრძელტარიანი ცოცხივით, სანამ თავისი არ გაისწორა, არ მოშორებია იქაურობას. ახლაც ისწორებს თავისას თავისი ჭკუით, მაგრამ ერთი ადგილიდან პამპერსი უჩანს, ერთხელ რომ დაუყვირონ, ისევ ჩაიკუკებს.

აი, ასე, ჩემო მკითხველებო, ეს გახლავთ მსოფლიო ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა ე.წ. ოპოზიცია ხელისუფლება ცხვირწინ უყალბებს არჩევნებს. მე ვერავინ დამაჯერებს, რომ „ნაცმოძრაობას“ ამ არჩევნებში 600 ათასმა ადამიანმა დაუჭირა მხარი. კი, ბატონო, დაახლოებით 300 ათასამდე ფანატიკოსი მიხოს ჰყავს, მაგრამ ნახევარ მილიონზე მეტი — ნამდვილად არა, ეს უკვე გაყალბებული ციფრებია. რასაკვირველია, ეს ძონძები მეორე ტურშიც ეცდებიან, ხალხი გააბრიყვონ, მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა, მწარედ დამარცხდებიან.

გელა ზედელაშვილი

პოლიტიკური პროსტიტუცია ქართულად და ღალატის ფასი

ბოლო ათი წლის განმავლობაში მთელი საქართველო ერთხმად გაიძახოდა – **სააკაშვილი და მისი ხელისუფლება უმკაცრესად უნდა დაისაჯონ როგორც სამშობლოს მოღალატეები, რუსეთისთვის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მიზნობრივი გადაცემისთვისო...** და რა ხდება, რა შეიცვალა დღეს, როცა სალომე ზურაბიშვილმა სცადა დაეკონკრეტებინა, თუ რაში გამოიხატებოდა ეს ღალატი?

შავი პიარის და თვალში ნაცრის შეყრის პოლიტიკა გრძელდება და ამ საქმეში მთელი ქვეყნის „ბნელეთის მოციქულები“ საოცარ ერთსულოვნებას ავლენენ. **ზოგი პროცესი მართვადია, ზოგიც სტიქიური, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად ორგანულია ნეგატივზე მომართული მანქანის თითოეული ჭანჭიკისთვის, რომ „ჰარმონიის“ მიღწევა ყოველთვის ხერხდება.**

ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე, კვლავინდებურად ორი პოლიტიკური სუბიექტი იკვეთება – ბარიერის ერთ მხარესაა მმართველი პოლიტიკური ძალა – „ქართული ოცნება“, საზოგადოების განმსაზღვრელი (გადამწყვეტი) უმრავლესობის მხარდაჭერით, ხოლო მეორე

მხარეს – კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, სტაბილური 25%-იანი მხარდაჭერით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესების გამოხატვას თითქოს მარტივად უნდა ერქმეოდეს ხოლმე თავისი სახელი, რადგან **საზოგადოების მენტალური გახლეჩის, ან უფრო ზუსტად – სამოქალაქო „ზნეობრივი ომის“ პირობებში – ნეიტრალურები, უბრალოდ, არ არსებობენ,** მაგრამ...

სიტყვა „თითქოს“, რასაკვირველია, შემთხვევით არ ჩამისვამს წინადადების გულში. სახელის დარქმევას, ხშირ შემთხვევაში, ხელს ერთი გარემოება უშლის: **არსებობს საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც შინაგანად არ არის „ნაცების“ მომხრე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო (პირადი ინტერესი, სნობური თავმოყვარეობა, პოლიტიკური სიბეცე და სხვა.., ან უბრალოდ – შური და ბოღმა), სწორედ „ნაცების“ საქმეს აკეთებს.**

არის კიდევ ერთი, არცთუ მცირერიცხოვანი ჯგუფი (ე.წ. ერთკაციანი პარტიები, გრანტიანი „ენჯეოები“, „ექსპერტები“, პრონაცურ მედიაში გადანაწილებული „ჟურნალისტების“ მთელი არმია და სხვ.) **რომლისთვისაც „იქ დგომას“ გარკვეული სარგებელი მოაქვს** და წინა აბზაცში ჩამოთვლილი სუბიექტებისგან განსხვავებით, შეგნებულად მავნებლობენ, ანუ ჩვეულებრივ პოლიტიკურ პროსტიტუციასთან გვაქვს საქმე.

„ნეგატივი მოდაშიაო“ – ამაზე საუბრობს ყველა, პოლიტიკური ელიტით დაწყებული და რიგითი „ობივატელით“ დამთავრებული. **შეფასების ქვეტექსტში იკითხება ის უზარმაზარი ზიანი, რაც ქვეყნისთვის საზოგადოების განწყობაზე მუდმივ უარყოფით ფსიქოლოგიურ წნეხს მოაქვს.**

სამწუხარო რეალობაა, რომ თითქმის ყველა ტელეარხი ნეგატივზეა აწყობილი. **შეიქმნა ყალბი სტერეოტიპები, რომ ლანძღვა-გინება უფრო გაყიდვადია, რომ გაკეთებულის არდანახვა და სიკეთის არდაფასება „კარგი ტიპობის“ პირობაა, რომ რაც უფრო „ზევით“ აისვრი ტალახს, მით უფრო მაგარი ბიჭი ხარ.**

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ პროცესმა თანდათან მასობრივი სახე მიიღო. ყურადღების ცენტრში მოქცევის და მოკლევადიანი სარგებლის მიღების სურვილი ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს უბრალოდ აყრუებს და აბრმავებს და ავიწყებს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ შეუმდგარი სახელმწიფოს პირობებში პირადი კეთილდღეობა მიუღწეველი ოცნებაა. **მძიმეა ამის აღიარება, მაგრამ ხილული ფაქტია, რომ ქვეყანაში ერთგვარი ჰეროსტრატეს სინდრომი მძვინვარებს.**

... ისევ აგვისტოს მოვლენებს დავუბრუნდები და მთელი ქვეყნის ვაშაძე-ბაქრაძეებისთვის, თავის მარგველაშვილ-უსუფაშვილებიანად (და რასაკვირველია, მათთვისაც, ვინც გულწრფელად განიცდის ამ პოლიტიკური ჭუჭყის შემოტევებს და ფაქტები და არგუმენტები არ ჰყოფნით ფეისბუქჭაობის დუღილის ჩასახშობად) **კიდევ ერთხელ გავიხსენებ ძველი ხელისუფლების იმ ყველა დანაშაულებრივ ნაბიჯს, რომლებიც წინ უძღოდა რუსული გეგმის წარმატებით განხორციელებას.**

საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ „ოცნების“ ხელისუფლება მუდმივად ცდილობს „დაუმტკიცოს“ „ნაცების“ პროპაგანდისტულ მანქანას, რომ „მოღალატე“ არაა, რომ რუსეთის დავალებებს არ ასრულებს, რომ პროდასავლური ორიენტაციისაა და ეს ხდება იმ პირობებში, როცა **საქმეში ჩახედული ნებისმიერი ქართველისთვის თუ უცხოსთვის ცხადზე უცხადესია, რომ წინა ხელისუფლებამ სარუსეთო დავალება შეასრულა.**

მივყვეთ ქრონოლოგიას და მხოლოდ შიშველი ფაქტებით ვილაპარაკოთ: **პროცესი 2004 წლის 6 მაისიდან იღებს დასაბამს.** თეთრ ცხენზე მჯდარმა (თუ დასმულმა) სააკაშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ბათუმიდან „დააანონსა“, რომ სექტემბერში ცხინვალში შევიდოდა, ხოლო 23 ნოემბრის გიორგობას სოხუმში აღნიშნავდა. ამის შემდეგ დაიწყო, (საღი აზრის პოზიციებიდან სრულიად უაზრო), თანმიმდევრულ აქტივობათა სერიალი, **რაც მთლიანად 8 აგვისტოს შემზადებას ემსახურებოდა, სწორედ იმ დასასრულით, რა შედეგიც მივიღეთ:**

პირველი იყო ერგნეთის ბაზრობის, ქართულ-ოსური თანაცხოვრების ერთგვარი ხიდის, გაუქმება, რასაც მოჰყვა (მთელი ზაფხულის განმავლობაში) პროვოკაციათა ჯაჭვი – ავანტურისტული, უგუნური გამოხდომები, იარაღის ჟღარუნის თანხლებითა და მძიმე შედეგები თ. **ამ ყველაფერს სამარცხვინო და საბედისწერო ფინალი ჰქონდა:** ყველას მწარედ გვახსოვს, ქართულუნიფორმიანი, მუხლებზე დაჩოქილი რამდენიმე ათეული ახალგაზრდა და კვლავ მტრობაში გადაზრდილი, რის ვაივაგლახით აწყობილი ყოფითი კავშირ-ურთიერთობები.

შემდეგ, კოდორის ხეობისთვის (დალის ხეობისთვის) ახალი სახელის – ზემო აფხაზეთის(?) დარქმევა და ცხინვალის რეგიონისთვის (სამაჩაბლოსთვის) ძველი, საბჭოთა პერიოდის სახელისა და ფაქტობრივად, საბჭოურივე სტატუსის დაბრუნება;

შემდეგ, კოდორის ხეობაში, ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული შეიარაღებული რაზმის, **„მონადირის“ გაუქმება და სამთავრობო ნაწილების შეყვანა (უდიდესი პროვოკაცია, საერთაშორისო მანდატით მოქმედი რუსი სამშვიდობოების პირობებში);**

შემდეგ იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიაში, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება (დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული ანალოგიური არჩევნების პარალელურად). **ამ აქტით, ნაცხელისუფლების მიერ, ფაქტობრივად მოხდა როგორც მის მიერვე აღდგენილი ავტონომიური წარმონაქმნის, ისე დე ფაქტო მოქმედი პრეზიდენტის უფლებების (სტატუსების) „გაპრავება“.** ამ ყველაფერს, მუდმივად, ფონად სდევდა ფსევდოაგრესიული რიტორიკა (როგორც წესი, მსგავსი თამაშების ნაწილია და რეალური გეგმის შენიღბვას ემსახურება), როგორც ოსური მხარის, ისე რუსეთის უმაღლესი ხელისუფალის მისამართით.

იმავდროულად, პარალელურ რეჟიმში, **ფართოდ ეხსნება კარი რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. ინტერვენცია იმდენად მასშტაბურია, რომ ქართველი ეკონომისტები არ ერიდებიან ისეთი მძაფრი შეფასებების გაკეთებას, როგორიცაა – „საქართველოს ეკონომიკის საკონტროლო პაკეტი რუსეთის სახელმწიფოს ხელშია“.** მართლაც, კომენტარი ზედმეტია.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ **მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სააკაშვილს გვერდიდან არ მოშორებია ათეული წლების განმავლობაში ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი, ამ ქვეყნების სპეცსამსახურების განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი თემურ ალასანია.** საინტერესოა, რომ მისი როლი ოფიციალურად იყო გამყარებული მრჩევლის სტატუსით და არც ის იყო დამალული, რომ საქართველოს მოქალაქე პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებზე მეტი გავლენით სარგებლობდა პრეზიდენტის კარზე.

(თემურ ალასანია დღესაც რუსეთის ერთგულ მოქალაქედ რჩება და კითხვაც არ უნდა იბადებოდეს, ვის ინტერესებს დაიცავდა რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობების პირობებში.)

ყველაფერი, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, უტყუარი ფაქტებია. მათ ერთობლიობას და მოვლენათა განვითარების ლოგიკას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გეგმაზომიერად ხორციელდებოდა აგრესორი სახელმწიფოსთვის ჩვენი ტერიტორიების გადაცემის პოლიტიკა.

ბუნებრივია, პასუხს მოითხოვს კითხვა – რა აუცილებლობა, უფრო სწორად, **რა იძულება განაპირობებდა ამ მძიმე არჩევანს?**

ქართულ პოლიტიკაში პროდასავლური, ან პრორუსული არ არის ღირებულებითი კატეგორიის ცნებები. ისინი აღნიშნავენ ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მზადყოფნას, თავის სამშობლოში ემსახუროს აშშ-ის, ან რუსეთის ინტერესების გატარებას. ქვეყნის ბოლშევიკურ-ნაცისტური მეთოდებით მმართველი საკაშვილის პროდასავლურობაზე საუბარი დასავლური ფასეულობების (თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატია) შეურაცხყოფაა. საკაშვილის და მსგავსი მენტალური წყობის ადამიანებისთვის ყველაფერს პირადი ინტერესი, პირადი ამბიცია განსაზღვრავს. როცა პირადი ინტერესი და ამბიცია წინ უსწრებს სახელმწიფო ინტერესებს, ეს ინტერესი და ამბიცია ავადმყოფურია.

ძალაუფლების ხიბლით შეპყრობილი ადამიანი (ადამიანები) ბევრ რამეზეა წამსვლელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლიერი ხელისთვის, რუსული იქნება ეს თუ ამერიკული **(ან ორივე ერთად)**, სურვილის შემთხვევაში, ადვილია მისი (მათი) მართვა.

ამავე კონტექსტში, **განსაკუთრებული ადგილი უკავია ფულის თემას.** ცნობილია, რომ **საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის ჩვენი პარტნიორების მხრიდან გამოყოფილი იყო რამდენიმე მილიარდი დოლარი.** კითხვა ამ თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით აგვისტოს ომამდეც ხშირად ისმოდა, ხოლო სამარცხვინო კაპიტულაციის შემდეგ მან კიდევ უფრო მძაფრი ჟღერადობა შეიძინა. მართლაც, **სად იყო ის შეიარაღება და ქართული სარდლობის ის შემართება, რომელსაც „ყველა მტერთან გამკლავება შეუძლია"?** (საკაშვილის სიტყვებია).

არახალია, ძველია, რომ ომზე მდიდრდებიან. ისიც არახალია, რომ „ომი ყველაფერს ჩამოწერს".

იარაღის თემა და მასთან დაკავშირებული მილიარდები შესაბამის უწყებათა კვლევის საგანია. ადვილი შესაძლებელია, რომ მან საერთაშორისო მასშტაბიც შეიძინოს, რადგან, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში წარმოჩნდება ხოლმე ე.წ. ტრანსეკონომიკური ინტერესები უარყოფით კონტექსტში. შეხსენებისთვის, აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთხელ ღიად გაიჟღერა თემურ ალასანიას სახელმაც (მხედველობაში მაქვს ირაკლი კაკაბაძის უაღრესად საყურადღებო, მამხილებელი პუბლიცისტური წერილები).

აუცილებლად შესასწავლია ომის შემდგომი პერიოდის მოვლენათა განვითარებაც. ავადსახსენებელი აგვისტოდან გარკვეული დროის შემდეგ მოვისმინეთ აშშ-ის მაღალი პასუხისმგებლობის პირების – კონდოლიზა რაისის, ჯონ ტეფტის, რიჩარდ მაილსის, ჯონ მაკკეინისა და თქვენ წარმოიდგინეთ, მეთიუ ბრაიზას – „გულისშემძვრელი აღსარებები", თუ როგორი უმართავი (ყველაზე რბილი შეფასებით) გახდა „მიშა" აგვისტოს წინა პერიოდში.

საუკუნეების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს და მაინც, პირვანდელი ჟღერადობით გაისმის კითხვა: რატომ არ ხდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება? მითუმეტეს, როცა საქმის ნახევარზე მეტი უკვე გაკეთებულია ჩვენი პარტნიორების მიერ (ტალიავინის კომისიის დასკვნა მაქვს მხედველობაში). ნაცვლად იმისა, რომ მრავალ დანაშაულში უკვე მხილებული რეჟიმი „კედელთან ჰყავდეს მიყენებული", ხელისუფლება თვითონ იყენებს თავს თავის მართლების რეჟიმში.

2008 წლის აგვისტოს ე.წ. მოვლენებიდან ათი წელი გავიდა, ძიების საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. არც პოლიტიკური შეფასება გაკეთებულა, რომ სამართალმა ნაწილობრივ მაინც იზეიმოს. ის, რომ საერთაშორისო ინსტიტუციამ მიიღო გამოძიების ჩატარების გადაწყვეტილება და ამისთვის პასუხისმგებელი პირიც შეარჩია (პროკურორი ფატუ ბენსუდა), ოდნავადაც არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. უბრალოდ, არ მჯერა, რომ გამოძიება იქნება დროული და სამართლიანი, თუ საქართველოს ხელისუფლება პარალელურ რეჟიმში არ იმუშავებს იმავე მიმართულებით.



არ მჯერა, რომ საერთაშორისო გამოძიება იქნება დროული და სამართლიანი, რადგან ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ **ამ უმძიმეს დანაშაულში მთავარი დამნაშავეა რუსეთი,** რომლის მიმართაც, „იქ", როგორც წესი, გადაწყვეტილებები მიიღება ხოლმე პოლიტიკური ინტერესებიდან, უფრო ზუსტად, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ხოლო **მეორე სავარაუდო დამნაშავეა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება,** რომლის პირველი პირიც, მრავალ დანაშაულში მხილებული და საერთაშორისო ძებნაში გადაცემული მიხეილ სააკაშვილი, მის ძველ ლობისტებს, „საერთაშორისო სამართლის" ცხვირწინ, წლებია საიმედო თავშესაფარში ჰყავთ გახიზნული, კაცმა არ იცის, რა ძველი „დამსახურებებისთვის"...

სულ რამდენიმე დღის წინ პოლონეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, **საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულების დათხოვნის შესახებ.** ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ რუსული სპეცსამსახურების სკოლაგამოვლილების ნდობა ათწლეულების შემდეგაც არ შეიძლება. ძველებურად რომ ვთქვათ – ამ საქმეში „ყოფილები" არ არსებობენ.

ცნობილი ფაქტია, რომ იმავე „სკოლის" აღზრდილია მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც, დამატებით, გავლენიანი ბიძის „ხელის წაკვრით", კგბ-ს სასაზღვრო ნაწილებში გაიარა სამხედრო სამსახური.

აგვისტოს შემზადებაში თავისი მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა **„ნაცების" დღევანდელ საპრეზიდენტო კანდიდატს გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც სააკაშვილთან ერთად ბოლო წუთებამდე მთელ მსოფლიოს არწმუნებდა, რომ „რუსები კარგად იქცევიან".** გრიგოლ ვაშაძე, თავისი „შეგნებული ცხოვრების" უდიდესი ნაწილი, **რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბირთვული შეიარაღების დეპარტამენტის თანამშრომელი, ანუ „მაღალი ნდობის" პირი იყო.**

ერთი სიტყვით, **საკმაო საფუძველი არსებობს იმ ვარაუდისთვის, რომ სააკაშვილმა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად შეასრულა რუსეთის ხელისუფლების ყველა დავალება, რასაც, მეტი გარანტიისთვის, პუტინის შტაბის დავალებითვე, მუდმივ კონტროლს უწევდნენ თემურ ალასანია, გრიგოლ ვაშაძე და კახა ბენდუქიძე,** რომელიც, თავის მხრივ, გეგმის ეკონომიკურ ნაწილზე იყო პასუხისმგებელი.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ **საერთაშორისო გამოძიება საქმის ამ და მსგავს ასპექტებს ყურადღებას არ დაუთმობს და არც უნდა დაუთმოს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების პრეროგატივაა.**

მხოლოდ გულუბრყვილო ამომრჩეველზე შეიძლება იყოს გათვლილი ის ყალბი ისტერიკა, რომ ომზე ყველა სიმართლის თქმამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესს. ყალბია პირველ რიგში იმიტომ, რომ **რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა სააკაშვილს, ეს რუსეთის, როგორც აგრესორის და ოკუპანტის პასუხისმგებლობას ვერ შეამცირებს** და მეორე – ყველამ ყველაფერი ქალბატონი სალომეს გარეშეც კარგად უწყის, ანუ – **იმაზე მეტს მაინც ვერ იტყვი, რაც არაერთგზის უკვე თქვეს ტალიავინის („გაზპრომის აგენტის") კომისიამ, ევროსაბჭოს რეზოლუციამ, კონდოლიზა რაისმა, რიჩარდ მაილსმა და სხვ.**

ჩემი ღრმა რწმენით, **ვისაც ჯერ კიდევ არ სურს აღიაროს სააკაშვილის პასუხისმგებლობა აგვისტოს ომის შედეგების გამო (თუნდაც ის რად ღირს, რომ ქართული სოფლებიდან არ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია), თვითონაც ინაწილებს ამ პასუხისმგებლობას, თუნდაც მორალურს** და მათაც შესაბამისად უნდა მოეთხოვოთ ამისთვის.

თუ რა სიმძიმისაა ეს პასუხისმგებლობა და რა ფასად დაუჯდა ის ქვეყანას, ამაზე ომის შედეგები მეტყველებს: **ას ორმოცდაათზე მეტი დაკარგული სოფელი; ასეულობით დაღუპული სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე; ასეულობით დანგრეული, გადამწვარი და მიტოვებული სახლი; ათასობით ახალი დევნილი; ასეულობით შეურაცხყოფილი ადამიანი; ძირძველ ქართულ მიწაზე ორი ახალი დე ფაქტო სახელმწიფო, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი არმიის საჯარისო შენაერთებით დაცული და გამყარებული...**

აი, ეს გახლავთ შეულამაზებელი სიმართლე და რეალობა და ყველა პასუხისმგებლიანი მოქალაქის მოვალეობაა, ხელისუფლებას მოსთხოვოს **ფაქტებს და მოვლენებს დროულად დაარქვას თავისი სახელი, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური შეფასების თვალსაზრისი თ.** სხვანაირად, ქვეყანაში გამეფებული მართვადი ქაოსი არ დასრულდება და სახელმწიფოს შენების პროცესი გარდაუვალ ჩიხში მოექცევა, რადგან –

სადაც არ არის სამართლიანობა, არ არის მშვიდობა.

ბიძინა ღვალი

®

„ქართულ ოცნებას“ ქართველი ხალხის წინაშე მორალური უფლება არა აქვს, ეს არჩევნები წააგოს

გვესაუბრება მწერალი ერეკლე სალღლიანი:

— ბატონო ერეკლე, საზოგადოება მეორე ტურის მოლოდინშია. რა უნდა გაკეთდეს, რათა ქვეყანა უფსკრულში არ გადაიჩეხოს?

— მეორე ტურს დიდ უბედურებად არ მივიჩნევდი, რომ არა ერთი ფაქტორი: პოლიტიკურ ძალას, რომელმაც საქართველო გააცამტვერა, საშუალება მიეცა ხელისუფლებაში ისევ მობრუნდეს. რასთან გვაქვს საქმე? — „ქართული ოცნების“ არასწორმა მიდგომამ, სტრაგეგიული გეგმის უქონლობამ, უნიათობამ პირდაპირ გაუხსნა გზა „ნაციონალურ მოძრაობას“. ნურავინ დაიჯერებს, რომ 600 ათასმა კაცმა „ნაციონალებს“ მისცა ხმა. ამ 600-ათასიდან 400-ათასამდე პირი „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებულია, მაგრამ მათ, მინდა ერთი რამ ვუთხრა: როცა გვინდა რამე შევცვალოთ, ეს უკეთესობისკენ უნდა იყოს მიმართული. თუ რამეს ვცვლით და არჩევანი უარესობისკენაა, ამ შემთხვევაში, ქვეყანას ვღუპავთ. გავიხსენოთ, რა მოხდა „ვარდების რევოლუციის“ დროს: სამწუხაროდ, ქვეყნის, სამშობლოს სიყვარულს იმდროინდელი ხელისუფლებისადმი სიძულვილმა აჯობა, რამაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა ტერიტორიების დაკარგვამდე, ზნეობის მოშლამდე და ა.შ. ნუღარ გავიმეორებთ ერთიდაიმავე შეცდომას თორემ, ისტორია აღარ გვაპატიებს.

— „პატრიოტთა ალიანსი“ ამ დამნაშავე რეჟიმის გასამართლებას ყოველთვის ითხოვდა. როგორ ფიქრობთ, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დააყენა?

— პირდაპირ გეტყვით: ქალბატონი ირმა, მოუწოდებს ხელისუფლებას ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, მიეცეს სწორი შეფასება, თუ გასამართლებას არ იმსახურებენ, ესეც საზოგადოებამ გადაწყვიტოს, ფაქტებით ვიმსჯელოთ: რა მოხდა, რა გაკეთდა იმ პერიოდში და ამის მიხედვით მოხდეს შეფასება. რაც შეეხება, ამ კუთხით, ხელისუფლების შეცდომას, შემდეგნაირად გეტყვით: საწყის ეტაპზე, მას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, რადგან ქვეყანაში არეულობა რომ აგვეცილებინა, ამისათვის გარკვეულ კომპრომისზე წასვლა გახდა საჭირო, მაგრამ ეს პროცესი ძალიან დიდხანს გაგრძელდა. შემდგომ უკვე კოაბიტაცია პირდაპირ ჩახუტებაში გადაიზარდა. ანუ, მექმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას აწყობს ისეთი სახელგატეხილი ოპოზიცია როგორიც „ნაცმოძრაობაა“. არადა, წმენდა თანდათანობით უნდა მომხდარიყო, რაც არ გაკეთდა. ქალბატონი ირმას რეაქციაც აქედან გამომდინარეა.

— „პატრიოტთა ალიანსმა“ შეიმუშავა საგანგებო რეზოლუცია. რას გვეტყვით, მის შინაარსზე?

— ქვეყნის წინსვლას ყველაზე მეტად ის აბრკოლებს, რომ წარსულის გაანალიზება არ ხდება. მოდით, გავიხსენოთ: რამ გადაარჩინა გერმანელი ერი? — მათ გააცნობიერეს, რა უბედურების მომტანი იყო ფაშიზმი. ამის გაცნობიერება რომ არ მომხდარიყო, გერმანელი ერი დაიღუპებოდა. შედეგად, სინათლემ სიბნელეზე გაიმარჯვა. სამწუხაროდ, დღეს, რუსეთს ყველაზე მეტად სწორედ ეს უჭირს — როგორც კი გააცნობიერებს რა დანაშაული ჩაიდინა და დღემდე სჩადის კაცობრიობის წინაშე, მას, ამ შემთხვევაში, ძალიან დიდი მომავალი უწერია. თუმცა, პირველ რიგში, ჩემი ქვეყანა, ხალხი მადარდებს. ჩვენ, არაფერს არ დავარქვით თავისი სახელი. ეს გახლავთ ამ რეზოლუციის არსი, სხვა არაფერი. მასში ის კი არ არის წამყვანი, რომ მაინცდამაინც ადამიანები დაისაჯონ, არამედ მათი მოღვაწეობა სამართლიანად შეფასდეს. ქვეყანაში სამართლიანობა უნდა აღდგეს.

— ჩვენ თუ ვაცნობიერებთ, რა გვჭირს?

— სამწუხაროდ, ვერ ვაცნობიერებთ, დღეს, ყველაფერს ამღვრეული გულის კარნახით ვწყვეტთ. მეორეც, პირდაპირ ჩაწერეთ: სანამ საარჩევნო ყუთებთან მივალთ, „ქართულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხს აღსარება უნდა ჩააბაროს. აი, რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში — ვიმეორებ, მათ ქართველ ხალხს აღსარება უნდა უთხრან თუ არადა, სხვა შემთხვევაში, ქვეყნის ბედს სასწორზე შევაგდებთ.

— ვაშაძის გაპრეზიდენტდების შემთხვევაში, რა მომავალი გველის?

— ვაშაძე საკაშვილის და სხვა ქვეყნიდან გაქვეული დამნაშავეების შეწყალებას გვპირდება. იმ შემთხვევაში თუ „ნაცმოძრაობის“ ეს ლიდერები, რომლებიც ახლა სხვადასხვა მხარეს არიან დაფანტულნი, ქვეყანაში შემოვლენ, ეს ახალი არეულობის საფუძველი იქნება. ყველაზე მეტად რაც ჩემს ქვეყანას სჭირდება, ეს არის სიმშვიდე. ამ ხელისუფლებით რაოდენ უკმაყოფილოც არ უნდა ვიყო, მასთან ბრძოლა იმად არ მიღირს, რომ ჩემი ქვეყანა შევწირო. ვიბრძოლებ სამართლიანობისთვის, მაგრამ ისე როგორც ეს მწერალს შეეფერება. პოლიტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ აშკარაა, რომ ვაშაძის მოსვლის შემთხვევაში, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების საწინდარი იქმნება, ამის რეალური საშიშროება არის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველი განცხადება, რაც ვაშაძემ გააკეთა იმ პირების შეწყალებაა, ვინც იმ 9 წლიანი რეჟიმის დროს ყველაზე მეტი დანაშაული ჩაიდინა. ღმერთმა იცის, საერთოდ, ადამიანის დასჯას არ მივესალმები, მაგრამ სამართლიანობის მომხრე ვარ. სიმართლე უნდა დადგინდეს. რატომ გაურბიან სიმართლის გამოაშკარავებას? ეს ყველაფერი რიგითი მოქალაქეებისთვის თვალნათელი, ხელშესახები უნდა გახდეს. რატომ წყდება ესა თუ ის საკითხი ყოველთვის კულისებში?!

— როგორ ფიქრობთ, მთავარი განმაპირობებელი რა არის, რამაც ხალხში ნიჰილიზმი გააჩინა?

— მოგახსენებთ: ხელისუფლება ხალხს დაშორდა, მან საკუთარი სამეტყველო, სალაპარაკო ენა შექმნა, რომელიც ხალხს არ ესმის. ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, თუმცა გამოსწორებადი. შეიძლება არსებული შეცდომები ერთბაშად, ერთ თვეში ვერ გამოასწორონ, მაგრამ იმედია, მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამენ.

— მეორე ტურის წინ სამოქალაქო საზოგადოება საკმაოდ გააქტიურდა, რასაც ვერ ვიტყვით „ქართულ ოცნებაზე“.

— მართალი ბრძანდებით. იცით, ასე რატომ მოხდა? — ხალხმა უფრო მეტად დაინახა მოსალოდნელი საფრთხე, ვიდრე თავად მმართველმა გუნდმა. დიახ, მოსახლეობამ საფრთხე იგრძნო. ხელისუფლებას ვურჩევდი: ცოტა მეტად მიაყურადონ ხალხის მაჯისცემას, მეტი ურთიერთობა, კონტაქტი იქონიონ ხალხთან. ეს გახლავთ დღევანდელი მმართველი გუნდის ყველაზე დიდი ხარვეზი.

— რა მოლოდინი გაქვთ მეორე ტურზე?

— ამის თქმა ცოტა ძნელია, მაგრამ იმედია, ქალბატონი სალომე გაიმარჯვებს.

— მთავარი ბრალდება რაც „ნაცმოძრაობამ“ ხელზე დაიხვია, სალომე ზურაბიშვილის მიერ ომის თემასთან დაკავშირებულ განცხადებას მოჰყვა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხზე?

— ქალბატონი სალომე გამოცდილი პოლიტიკოსია. მან ომის დაწყებაში საქართველო კი არა, არამედ მის პროვოცირებაში საკაშვილი დაადანაშაულა. ამ თემაზე შემიძლია შემდეგი ვთქვა: ომი რუსეთმა დაიწყო. სხვათა შორის, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთმა ეს ომი 2008 წელს დაიწყო, ძალიან მწარედ ცდება. რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი ჯერ კიდევ პეტრე I დროიდან მოყოლებული დაიწყო, როდესაც ჩვენი გასაცოდავებული მეფე — ვახტანგ VI გააცუცურაკა. შემდგომ, 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანი შეაგულიანეს და პირდაპირ წააქეზეს, რომ თბილისში შემოსულიყო. აი, ეს პროცესი, აქედან მოყოლებული დღემდე გრძელდება. სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნული განცხადებით თქვა, რომ მაშინ პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდითო. ერთი რამ არის: ყოველ სიტყვას დიდი სიფრთხილით უნდა მოკიდება მაშინ, როდესაც იცი, რომ საპირისპირო სიბრტყეზე ისეთი ძალა დგას, რომელიც ყოველ შენს სიტყვაზე ჩასაფრებულია და მზადაა მას თავისებური ბინძური ინტერპრეტაცია მიანიჭოს.

— „ნაცები“ სალომე ზურაბიშვილს პრო-რუსულობაშიც სწამებენ ცილს, თავად კი, პროდასავლელებად გვევლინებიან.

— ეს უკვე სასაცილოა იმიტომ, რომ სალომე ზურაბიშვილი ევროპულ პოლიტიკასთან მთელი თავისი მოღვაწეობით არის დაკავშირებული. „ნაციონალური მოძრაობა“ კი ყოველი მხრიდან მართული ძალაა.

— როგორ ფიქრობთ, მაინც საიდან იღებს სათავეს „ნაცმოძრაობა“, მისი ფესვები სად არის?

— მაგას, მე, მეკითხებით, კაცო, მე, მეკითხებით? „ნაციონალებმა“ ხონჩით მიართვეს რუსეთს სამაჩაბლო და დალის ხეობა. ხალხი ვინც დალის ხეობას იცავდა, ყველა იქედან გამოყარეს. რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, თუ სად არის „ნაცმოძრაობის“ ფესვები,

ამ კითხვას როგორ მისვამთ? ხომ ყველაფერი დღესავით ნათელია.

— თქვენთვის კოდორის მოვლენების შესახებაც ბევრი რამ არის ცნობილი.

— დიახ, ასეა, „ნაცმოძრაობას“ ძალიან ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი. მაშინ ვთქვი: კიდევ კარგი, მადლობა უფალს, რომ თავად იმ ბიჭებმა, ვინც საზოგადოება „მონადირეს“ სათავეში ედგნენ, არ გაისროლეს. ბოლობოლო, მათ საქართველოს შუაზე გახლეჩვას, იქედან გაცლა ამჯობინეს. სხვათა შორის, ჩვენ გვახსოვს ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, სადაც ბავშვი შუაში დააყენეს, ძიძა და დედა კი მას თავისკენ ეწევიან. ბოლოს, ბავშვს ძიძამ გაუშვა ხელი, შუაზე ხომ არ გავგლეჯდიო. ანუ, ბავშვი ძიძას უფრო შეეცოდა. კოდორის შემთხვევაშიც ანალოგიური რამ მოხდა, ოღონდ, დედობისას მათ ვერაფერს ვატყობ. იმ მომენტში, მათ საქართველო შუაზე გასაგლეჯად გაიმეტეს, ფაქტობრივად, ქვეყანა სამოქალაქო ომის წინაშე დააყენეს. ერთსაც გეტყვით: დღემდე აფხაზეთის აღიარება რომ არ მოხდა იმანაც განაპირობა, რომ აფხაზეთის ტერიტორია ბოლომდე გაწმენდილი არ იყო. ამიტომ, ამ სეპარატისტულ რეჟიმს არავინ აღიარებდა.

ახლა, უკვე „ნაცმოძრაობამ“ ესეც მოშალა. ღმერთმა დაიფაროს რამე მოხდეს, თორემ, ერთი ხელის გაწვდენაზე არიან. ტერიტორია ბოლომდე გააწმენდინეს სამაჩაბლოშიც და იქაც. რა არის ამაზე იოლი: გამოხვიდე, ლანძღო, აგინო რუსეთი და დაანგრიო საქართველო. ამაზე ადვილი არის რამე?!

— „ნაცმოძრაობა“ მოგვიწოდებს: დავივიწყოთ 9 წლიანი რეჟიმიო, მაგრამ მათ ვინც უშუალოდ საკუთარ თავზე იწვნია ეს ყველაფერი, რა პასუხი გავცეთ?

— იცით რას გეტყვით, ერთი კაცი მაინც მითხარით „ნაცებისგან“, ვინც ორი კვირა მაინც წასულიყოს მონასტერში და ცოდვები მოენანიებინოს, განეცადოს ეს უზნეობა, ცუდი საქციელი. რა დავივიწყოთ, რა?! განა მათ ქმედებებს სინანული ახლავს? პირდაპირ სახეში გვიყურებენ და გვაბითურებენ.

— ხალხს მოკლე ეხსიერება გვაქვს თუ 600 ათასმა ადამიანმა ამ ყველაფრის მიუხედავად მათ მხარი რატომ დაუჭირა?

— ხალხს მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ ბრძოლის ძალა კიდევ შერჩათ. იგი იმდენჯერ მოატყუეს და თვალში ნაცარი შეაყარეს, რომ მას მეტს ნუღარ მოვთხოვთ. მადლობელი არ ვართ არჩევნებზე მაინც რომ მოდიან და საარჩევნო ყუთთან დგებიან? ხალხი, თავისთავად, არ შეიძლება ან ცუდი იყოს ან კარგი. მაგალითად, გოეთეს, შილერის, მოცარტის, ბეთხოვენის და ჰაიდნის ერმა ოსვენციმის ბანაკები შექმნა. როგორ ვიმსჯელოთ ჩვენ გერმანელებზე — როგორც ცუდზე თუ როგორც კარგზე? პირველ შემთხვევაში, ერის შიგნით, ნათელი ძალა შევიდა, მეორე შემთხვევაში — ბნელი ძალა. ხალხს ხსნის გზა უნდა უჩვენო, ასევე ასწავლო როგორ იპოვოს თავის თავთან, შენთან მოსასვლელი გზა. ეს გზა არ უნდა გადაუკეტო.

— ბატონო ერეკლე, მოსახლეობის 56% არჩევნებზე არ მივიდა. მათ რწმენა როგორ დავუბრუნოთ?

— იმიტომ არ მივიდა, რომ უკვე ხელი აქვთ ჩაქნეული. ანუ, ეს ყველაზე საშინელი რამ არის, იცით რატომ? როცა ადამიანი უსიტყვოდ უარგყოფს, ამაზე საშინელი არაფერი არ არის. ეს ნიშნავს, რომ ის შენ აღარ გცნობს. თუ როგორ შემოვაბრუნოთ ეს ხალხი ჩვენსკენ, ამაზე პოლიტიკოსებმა უნდა იფიქრონ, მაგრამ მათ მაინცდამაინც დიდ ფიქრს ვერ ვატყობ. მეტსაც გეტყვით, რომ არ მოგატყუოთ: ჩვენი გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსი“ და ვახტანგ ხარჩილავას „საერთო გაზეთი“ უფრო დარდობს, ნერვიულობს ამ მოვლენებზე, ვიდრე თვითონ მმართველი გუნდი. ჩვენ — „პატრიოტთა ალიანსი“ და „საერთო გაზეთი“ უფრო ვიბრძვით სამშობლოს გადარჩენისთვის, ვიდრე „ქართული ოცნება“.

— 25 ნოემბერს „პატრიოტთა ალიანსი“ დიდ შეკრებას აპირებს. მიზანი რა არის?

— იქ, ალბათ, ბევრ რამეს გადაწყვეტენ. ჩვენი მოთხოვნები იქნება ის, რაც ყველაზე მეტად აწუხებს ჩვენს ერს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

თურქული „სამშენებლო ფირმის“ და ერაყული „ბანკის“ თავგადასავალი საქართველოში

ქალაქ რუსთავისკენ მგზავრობის დროს აუცილებლად შეამჩნევთ მიმდინარე შთამბეჭდავ მშენებლობას. მისი ოფიციალური დასახელებაა – **თბილისი-წითელი ხიდის გზის თბილისი – რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაცია**, რომელსაც, სხვათა შორის, შეეწირა ათიათასობით ხე, მათ შორის კრწანისის ტყეპარკის მცირეოდენი ნაწილი, და სახნავ-სათესი მიწის დიდი ფართობი. თუმცა, აქ არ დავიწყებ მსჯელობას, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა ამ გზის მონაკვეთის მოდერნიზაცია, რადგან არამოდერნიზირებული გზაც მშვენივრად ასრულებდა თავის დანიშნულებას, კერძოდ, მას გამტარიანობა ჰქონდა საკმარისზე საკმარისი. ასევე, არ შევეხები ბევრისთვის ისედაც ცნობილ ფაქტს, თუ რა ფარული ბრძოლები გაჩაღდა „ყველა ჯურის და ფერის“ სამშენებლო ფირმებს შორის ამ „მსუყე ლუკმის“ პირში ჩასაგდებად... მოკლედ, 2016 წლის 3 თებერვალს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა ორ ეტაპიანი ტენდერი (**NP 42414 – SUTIP 3 – ICB – 03.02. 2015**). სხვა კომპანიებთან ერთად, ამ ტენდერში მონაწილეობდა თურქული სამშენებლო კომპანია – **შპს „გენჩ ინშაათი“**. აი, ზუსტად ამ სამშენებლო კომპანიის თავგადასავალზე და „გაჭირვებაზე“ მინდა, მოვახსენო ქართველ საზოგადოებას.

რას წარმოადგენს „გენჩ ინშაათი“?

თუ ამ კომპანიის მესვეურების სიტყვებს დავუჯერებთ, ფირმა შეიქმნა 1953 წელს და შექმნისთანავე ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს არა მარტო თურქეთში, რაც ნიშნავს, „გენჩ ინშაათი“ სოლიდური ფირმაა. სოლიდურ „გენჩ ინშაათზე“ ინტერნეტ სივრცეში, გარდა ფირმის ვებგვერდისა, სადაც ნაჩვენებია აქეთ-იქით მოძრავი ტრაქტორი გატალახიანებული მუხლუხით, ვერავითარი ინფორმაცია ვერ მოვიძიე. არადა, თუ საქართველოს მთავარი პროკურატურის ზოგიერთ წარმომადგენელს ყურს ვუგდებთ, ეს კომპანია არის **„უმსხვილესი თურქული ფირმა“** და იმდენად უმსხვილესია, რომ **„მთელი თურქეთი ააშენა“**. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! „გენჩ ინშაათი“ არათუ არ შედის ათ უმსხვილეს თურქულ სამშენებლო კომპანიების რიცხვში, არამედ, საერთოდ, თურქული სხვა კომპანიების სიაშიც არ მოიძებნება!..

როგორც გამოძიების მასალებიდან გახდა ჩემთვის ცნობილი, კომპანია „გენჩ ინშაათმა“ ზემოთხსენებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ყველაზე დაბალი ფასით. ტენდერის პირობების შესაბამისად, თურქულ ფირმას უნდა წარედგინა რომელიმე ბანკის საგარანტიო წერილი, ან უნდა დაედო ნაღდი თანხა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს „გენჩ ინშაათმა“ წარუდგინა **ერაყული ბანკის – „ჩექინზუს“** საგარანტიო წერილი, მაგრამ თურქული ფირმის თავკაცს – **გოქსელ გენჩს**, თურმე, არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, აღნიშნული ბანკი იყო თუ არა ლეგალიზებული საქართველოში.

რას წარმოადგენს ერაყული ბანკი „ჩექინზუ“?

ვერავინ შემედავება, თურქეთის „აღმშენებელი ფირმის“ ხელმძღვანელს – გოქსელ გენჩს, სანამ მიიღებდა მონაწილეობას მრავალ ათეულმილიონიან მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში, სულ ცოტა, საგარანტიო ბანკის სოლიდურობაზეც უნდა ეფიქრა; და კიდევ ერთხელ, ჰოი, საოცრებავ! ლამის, მხედველობა შევწირე კომპიუტერის მონიტორს, ოღონდ, ერაყულ ბანკ „ჩექინზუზე“ მიმეღო მცირეოდენი ინფორმაციაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ შევისწავლე ერაყის საბანკო სისტემის არცთუ სახარბიელო ისტორიაც კი. **მიუხედავად „სიზიფეს შრომისა“, ერაყული ბანკის – „ჩექინზუს“ ხსენებაც არ არის ერაყში მოქმედი არც სახელმწიფო, არც კომერციული, არც ისლამური და არც უცხოურ ბანკების სიაში!..** ან, რა გარანტორი უნდა ყოფილიყო, თუნდაც, ერაყის უმსხვილესი ბანკი, როცა 2016 წელს ეს სახელმწიფო გახვეული იყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, რომლის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებდნენ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფებები, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირეებითურთ, გააფთრებით უტევდნენ ამ კანონგარეშე ორგანიზაციის მთავარ ბუნაგს ერაყში – ქალაქ მოსულს. საბედნიეროდ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში მუშაობენ საქმის მცოდნე ადამიანები, რომლებმაც, ალბათ, ჩემსავით ვერ მოძებნეს ინტერნეტში „ჩექინზუ“ და „გენჩ ინშაათს“ წითელი შუქი აუნთეს, უფრო მარტივად, გააძევეს ტენდერიდან. ამის შემდეგ, რას მოიმოქმედებს გოქსელ აღა?აიღო თავის გუდა-ნაბადი და მის კომპანიის მიერ „აშენებულ“ თურქეთისკენ გაქუსლა? ნურას უკაცრავად! გოქსელ გენჩმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო ტენდერში და (არ წაიქცეთ!) გაემარჯვა კიდეც. მაგრამ მას, როგორც ბიზნესის „მგელს“ ხომ უნდა სცოდნოდა, რომ დისკვალიფიცირებულ ფირმას, ტრადიციისამებრ, არავითარი შანსი არ აქვს, მოიგოს მრავალ ათეულმილიონიანი ტენდერი. მითუმეტეს, ვის ვის, და გოქსელ გენჩს ყველაზე უკეთ უნდა სცოდნოდა, რა მაქნისი ფირმის მფლობელია, და რომ ბანკი „ჩექინზუ“ ბუნებაში არ არსებობს. საქმე გვაქვს თაღლითობასთან? სავარაუდოდ, გვაქვს. აქ შემიძლია დავსვა წერტილი და „სახლში გავუშვა“ ბატონი გოქსელი. მაგრამ, ვერ ვუშვებ. რატომ? იმიტომ რომ, საზოგადოების სახელით მოვითხოვ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხემძღვანელობისგან პასუხს კითხვაზე: რატომ არ შეატყობინეს სათანადო ორგანოებს, რომ ტენდერში მონაწილეობდა თაღლითების „კომპანია“? არარსებული ერაყული ბანკის „საგარანტიო წერილი“ მათ ამის საშუალებას ხომ აძლევდა. „ფონდის“ უფროსობას უნდა სცოდნოდა, რომ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასით მონაწილე კომპანია, როგორც წესი, თაღლითურია. ყურადღების ასეთი მოდუნება, გნებავთ, დოყლაპიობა შესაძლებელს ხდის, რომ დიდი თანხები თაღლითების ხელში აღმოჩნდეს. ან, არ არის გამორიცხული, ფონდის ხელმძღვანელობას ადარდებდა სახელმწიფო ფულის არა ეკონომიური და რაციონალური ხარჯვა, არამედ პროცენტი ე.წ. ატკატიდან? ასევე, გასაოცარია, ამ სავარაუდო თაღლითს – გოქსელ გენჩს, რატომ ელოლიავებოდა და ხელისგულზე ატარებდა „შოთაძის პროკურატურის“ ზოგიერთი თანამდებობის პირი. რატომ უნერგავდნენ ისინი მოქალაქეებს აზრს ფირმა „გენჩ ინშაათის“ ყოვლისშემძლეობაზე?! ამჯერად, ჩვენ თავს შევიკავებთ კონკრეტული ადანიანების დასახელებისგან, მაგრამ უახლოეს მონავალში საზოგადოებას შევთავაზებთ ამ საქმის ღრმა, შინაარსიან ანალიზს.

გიორგი კორძაძე
571 77 61 95

მე ვიცავ თავისუფლებას!

7 ნოემბერს, სამოქალაქო მოძრაობა „მე ვიცავ თავისუფლებას“ ინიციატივით მოწყობილ შეკრება-აქციას უამრავი ადამიანი დაესწრო. რუსთაველის თეატრის დარბაზი მოკლე ხანში ისე გადაიჭედა, რომ ხალხი იძულებული გახდა ქუჩაში დალოდებოდა გამომსვლელებს და სავალი ნაწილი გადაეკეტა. აქციის მონაწილეთა შორის იყო მხცოვანი პოეტი რეზო ამაშუკელიც, რომელიც მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა, დამიჯერეთ, ახლა ეს ამდენი ხალხი და მათი ხმაური უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩემი ინტერვიუო.

„საერთო გაზეთი“ ხსენებული სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლებს და აქციის სხვა წევრებსაც გაესაუბრა.

ლევან გოგიჩაიშვილი (ყოფილი უფლებადამცველი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი): საზოგადოება აქ იმისთვის შეიკრიბა, რომ დაიცვას თავისუფლება, სამწუხაროდ, ისევ დაგვჭირდა ქუჩაში გამოსვლა. „მე ვიცავ თავისუფლებას“ არის წმინდა საზოგადოებრივი მოძრაობა და მეც, როგორც საზოგადოების წევრი ისე ვიმყოფები აქ. თავისუფლება და დემოკრატია ისეთი ღირებულებებია, რომელსაც დაცვა ჭირდება, რადგან ყოველთვის არსებობენ ძალები, რომლებიც ცდილობენ მათ შეზღუდვას. ძალზე მნიშვნელოვანია საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილმა გამარჯვება, რადგან თავისი კონკურენტისგან განსხვავებით, ის სიკეთის მხარეს დგას. სხვათა შორის, ეს არჩევნები ძალიან კარგი იყო იმ სამარცხვინო ადამიანების ბუნების კიდევ ერთხელ გამოსავლენად, რომლებიც რუსეთის წარმომადგენლის წინ რიგში დგანან თავიანთი შეთავაზებით. დარწმუნებული ვარ, არჩევნების მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილი სერიოზულ შედეგს დადებს, რაც ძალიან დიდი დარტყმა იქნება იმ ბოროტი ძალებისთვის, რომელსაც წარმოადგენს ნაცმოძრაობა და გრიგოლ ვაშაძე. ახლა მთავარია მობილიზაცია, საზოგადოება უნდა დაირაზმოს. ის ხალხი, რომელიც პირველი ტურის დროს არჩევნებზე არ წავიდა, ახლა აპირებს წასვლას, მათ ძალიან დიდი მადლობა ვუხდი, სალომე ზურაბიშვილისთვის მხარდაჭერას რომ აპირებენ. ბუნებრივია, პირველი ტურის შედეგი „ქართული ოცნებისთვის“ კარგი გაკვეთილი იყო, შესაბამისად ჩვენ სრულიად რადიკალურად სასიკეთოდ შევცვლით პროცესს, რომ თითოეულმა ადამიანმა იგრძნოს ის სიკეთე, რასაც ჰქვია ქვეყანაში პასუხისმგებლობიანი ხელისუფლების ყოლა.

ირაკლი მეძმარიაშვილი (სამოქალაქო მოძრაობის წევრი, საზოგადოება „თბილისელის“ გამგეობის თავმჯდომარე): ძალიან ცუდია, რომ 11 წლის შემდეგ ისევ მოგვიწია ჩვენი თავისუფლებისა და მეობის დაცვა, მაგრამ ასეთია დღევანდელი მოცემულობა და ეს უნდა გავაკეთოთ. ვთვლი, რომ უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც დაივლის მთელ საქართველოს, ყველასთან მივა და შეახსენებს, ვისაც დაავიწყდა რა ხდებოდა ნაცრეჟიმის დროს. ექვსი წელი გავიდა, რაც ნაციონალები ხელისუფლების სთავეში აღარ არიან და მე არ მინახავს მათგან ერთი ადამიანი გამოსულიყო და თუნდაც ბოდიში მოეხადა იმ სისასტიკეზე, რაც მათი მმართველობისას იყო გამეფებული ქვეყანაში. პირიქით, ბრალდების რეჟიმში არიან, აქეთ გედავებიან. არადა, ჩვენ რომ ვყოფილიყავით მაგათ ადგილზე, ამდენს ნამდვილად არ გვალაპარაკებდნენ, ციხის საკნებში ვიქნებოდით გამომწყვდეული. თითქმის ყველა ტელევიზია მათ ხელშია და რევოლუციურ რეჟიმში მუშაობენ, ვთვლი, რომ „მე-9 არხი“, ინფო-9 არ უნდა დახურულიყო, არც „ჯიდიეს“-ზე უნდა გაეუქმებინათ საინფორმაციო გადაცემები და პოლიტიკური თოქ-შოუები. ჩვენ ჯერ არ ვართ იმ დონეზე, რომ არ იყოს განსხვავებული პოზიციის მქონე ტელევიზია. მედიასაშუალებების უმეტესობა დღეს როგორც იქცევა, ეს არ არის ნორმალური ქვეყნის მახასიათებელი. რაც შეეხება არჩევნებს, ჩემი აზრით, იმ ადამიანებმა, რომლებმაც პირველ

ტურში მონაწილეობა არ მიიღეს, რის გამოც ხმები დაკარგა სალომე ზურაბიშვილმა, გასაგებია, რომ გაბრაზებულები არიან ხელისუფლებაზე და სამართლიანადაც არიან გაბრაზებულები, ახლა გამოვიდნენ და კიდევ ერთხელ მისცენ შანსი „ქართული ოცნების“ მთავრობას, რომ შეასრულონ დაპირებები. იმ ჯგუფმა, რომელიც ახლა შეიქმნება და დაივლის საქართველოს, როცა საზოგადოებისთვის სასურველი შედეგით დამთავრდება მეორე ტური, აუცილებლად უნდა აკონტროლოს მთავრობა. ხალხის მიერაა დაქირავებული ხელისუფლება და სწორედ მან უნდა აკონტროლოს.

ჯაბა ჯიშკარიანი (ყოფილი უფლებადამცველი, დედაქალაქის საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან“): დღევანდელი შეკრების მიზანი საზოგადოების საბოლოო კონსოლიდაციაა, ყველამ

ერთად (მათ შორის ხელისუფლებამ), ვინც 2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ ნაცმოძრაობა. ეს ბრძოლა ქართველმა ხალხმა საკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ამ რეჟიმის ჩასახვიდანვე დაიწყო, მაშინ სამოქალაქო საზოგადოება ძალიან მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი, მაგრამ იყო ძალზე შეუპოვარი და პრინციპული. შემდეგ მოხდა 7 ნოემბერი, სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ ყველაზე ფართო პროტესტის დღე, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე ყველამ ერთად ჩამოვხსენით ნიღაბი საკაშვილს. ჩვენ მოვისმინეთ ბადრი პატარკაციშვილის განცხადება 7 ნოემბერს, ტელეკომპანია „იმედი“ არ იყიდება, ჩემს რესურსს ბოლო ცენტამდე გამოვიყენებ საკაშვილის რეჟიმის პოლიტიკურ მოუსავლეთში გასასტუმრებლადო, რაც მას არ აპატია საკაშვილის ხელისუფლებამ. 11 წლის შემდეგ ვნახეთ ჩანაწერი, როგორ გეგმავდა მაშინდელი ხელისუფლება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მოცილებას, როგორ გეგმავდნენ მაღალჩინოსნები ბატონი ბადრის ლიკვიდაციას. რომ არ განმეორდეს 7 ნოემბერი, 26 მაისი, გირგვლიანები, ვაზაგაშვილები, გამცემლიცეები, რობაქიძეები, შავაძეები და სხვა რეჟიმის მიერ განადგურებული ადამიანები, აღარ მოხდეს პატიმრების წამება-გაუპატიურება, ყველა უნდა დავირაზმოთ, გავერთიანდეთ და უარი ვუთხრათ სისხლიან წარსულში დაბრუნებას, რადგან ისევ ჩვენი საომარი გახდება. დღეს შეიძლება საკრებულოში მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი ვარ, ჩემი ფუნქციები და მოვალეობები მაქვს ამომრჩევლის წინაშე, მაგრამ პირველ რიგში მოქალაქე ვარ, ყოველთვის ძალიან აქტიური მოქალაქე ვიყავი და მომავალშიც ასე იქნება. ჩვენ არასოდეს შევეგუებით საქართველოში ამაზრზენი ძალების პარპაშს, არ დავუშვებთ ჩვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად მოპოვებული თავისუფლების დაკარგვას. არჩევნებამდე დავივლით მთელ საქართველოს, ქუდზე კაცს გამოვიყვანთ და კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ მსოფლიოს, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც ცხოვრობს ძალიან კულტურული, დემოკრატიის ამრჩევი ერი, რომელიც უარს ეუბნება წარსულს, ხალხის მჩაგვრელ რეჟიმებს, რომელიც იყო ფაშიზმის მანიაკალური გამოვლინება. საკაშვილის ენა სიძულვილის ენაა, ხომ მოვისმინეთ, როგორ მოიხსენიებდა „კაგებეშნიკ“ ბიძამისთან ერთად ქართველ ერს. ჩვენ საზოგადოებასთან ერთად ავირჩიეთ სიყვარულის ენა, მშვიდობა, ქვეყნის სტაბილურობა, სწრაფი განვითარება, რასაც არაფრით დავთმობთ და არაფერზე გავცვლით.

გიორგი იაკობაშვილი (ინტერნეტგამოცემა „ფორ-გეს“ დირექტორი, ჟურნალისტი): ჟურნალისტებიც ვცოდავთ იმ მხრივ, რომ არ ხდება მეტი ახალი სახის წარმოჩინება საზოგადოებისთვის, რაც ძალზე საჭიროა. ვიღაც-ვიღაცებმა უნდა დაინახონ, რომ ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ, არა აუცილებლად ცნობადი სახეები, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, რომელზეც გადადის ამ ქვეყნის მომავალი. ზოგი ჭირი კი არა, ლამის ყველა ჭირი მარგებელია, შექმნილ ვითარებაში, როცა ნაცმოძრაობას რაღაც იმედი გაუჩნდა, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდება, აქაც არის დადებითი მომენტი, „ქართულმა ოცნებამ“, იმ ადამიანებმა, რომლებსაც დღეს ქვეყნის ბედი აბარიათ, ყურები გამოიჩხრიკონ, მოუსმინონ იმ ხალხს, რომლებიც წლების გან-

მავლობაში აფრთხილებდნენ, რომ მოხდებოდა ის, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა. სხვათა შორის, არ არსებობს დედამიწის ზურგზე მთავრობა, რომელსაც შემოძახებაა არ ჭირდებოდეს, ეს ქვეყნისთვისაა აუცილებელი. ისე გამოვიდა, რომ ქართულმა საზოგადოებამ 1 ოქტომბერს დაამთავრა ბრძოლა და დაელოდა დადებით შედეგს. სახელმწიფოს მშენებლობა, მითუმეტეს ისეთი სახელმწიფოსი, რომელიც 200 წლის განმავლობაში კოლონია იყო, მათ შორის, 70 წელი ბოლშევიკური რეჟიმის ნაწილი, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომები და საკაშვილის სისხლიანი ხელისუფლება, ასეთი სახელმწიფო 1–2 დღეში და თუნდაც ხუთ წელიწადში ფეხზე ვერ დადგება, საერთოდაც ვერ დადგება თუ არ იქნება საზოგადოებრივი აქტივობა, თითოეული მოქალაქის სამოქალაქო პასუხისმგებლობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება. ეს არ არის უბრალოდ ხმამაღალი სიტყვები. ჩვენ ველოდებით, რომ ვიღაც რაღაცას გააკეთებს, ერთმანეთის იმედზე ვართ, ამან მოიტანა ის შედეგი, რომ თუნდაც ჩემს გარშემო უამრავი ადამიანი არ წავიდა არჩევნებზე, სხვები

მაინც მიდიანო და დღეს თავში ხელს ირტყამს. ამ სავალალო შედეგიდან დასკვნა უნდა გამოიტანოს როგორც მმართველმა ძალამ, ისე თითოეულმა მოქალაქემ, გასაგებია, რომ არჩევნების დროს ის ამომრჩეველია, მაგრამ არჩევნებიდან არჩევნებამდე მოქალაქეა და ვალდებულებები გააჩნია. მედიასაშუალებებზე ვსაუბრობდით, მე იმას არ ვამბობ, რომ „ქართული ოცნების“ აპოლოგეტები იყვნენ, იმის აპოლოგეტები იყვნენ, ვინც ამას იმსახურებს, ეს არის ჩვენი სამშობლო თავისი ისტორიით, ერი და თუნდაც ჩვენი ხვალინდელი დღე, რომელიც კარგი ლამაზი მინდა იყოს. ჟურნალისტებისგან მე უბრალოდ იმას ვითხოვ, რომ შავზე შავიაო თქვან და თეთრზე თეთრი, ნუ აპიარებენ და ნუ ქმნიან ცნობად სახეებად იმ პერსონებს, რომლებსაც ქვეყნისთვის კი არა, საკუთარი ახლობლებისთვის არ გაუკეთებიათ არაფერი. მაგალითად მე, ერთად აღებულ ამ „ცნობად“ სახეებს საქართველოსთვის დაღუპული ერთი უცნობი ჯარისკაცი მირჩევნია.

დინა მირცხულავა (ინფო-9-ის ყოფილი ჟურნალისტი): ყველაზე მეტად ვიყავი მოვლენების ეპიცენტრში, ამიტომ გული მტკივა, რომ 2018 წელს ისევ ნაციონალებთან ბრძოლა გვიწევს. ეს ჩემი თაობის ძალიან დიდი ტკივილია, მაგრამ მოქმედ ხელისუფლებას ბოლოჯერ უნდა მივცეთ შანსი. უხეშად გამომდის, მაგრამ არჩევნების შედეგი კარგი ალიყური იყო ხელისუფლებისთვის იმდენად დაშორდნენ ხალხს, ძალიან შორს არიან რეალობისგან. ბიძინა ივანიშვილმა სწორად ბრძანა, რომ უნდა დაბრუნდნენ ძველი გვარდიელები, რომლებიც ახლა უბრალოდ ფეისბუქში ვაჩხაკუნებთ, არსად გვაქვს რაიმეს კეთების უფლება, იმიტომ, რომ ყველანაირად ჩაჩოჩებული ვართ. დღევანდელი შედეგი იმან მოიტანა, რომ „ქართულ ოცნებას“ იდეოლოგები კი

არა, მხოლოდ ტაშის დამკვრელები ყავდა დაშვებულ შეცდომებზეც კი. მოყვარეს პირში უძრახო, ეს დავწერე კიდეც, როდესაც ჩვენს რეგიონში (მცხეთა-მთიანეთი) „ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე ცუდი შედეგი დადო. ნაციონალებს მცხეთა ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც კი არ მოუგიათ, იმდენად ოპოზიციურად განწყობილი რაიონი იყო, დღეს კი მათმა კანდიდატმა დაახლოებით 1600 ხმით (ზუსტი ციფრი არ ვიცი) მოუგო სალომე ზურაბიშვილს. ვფიქრობ, კარგი რაღაც მოხდა, რომ ხელისუფლების გასააქტიურებლად. ჩემს თაობას ვურჩევდი, რომ არ ჭირდება ეს 30-წლიანი სტაჟის მქონე პოლიტიკოსები, თუმცა ახალგაზრდობა არც რეაგირებს მათზე და არც ცოცხებისა და „დუბინკების“ ეშინია. ჩენს თაობას რეალური საქმე და კომუნიკაცია ჭირდება თავისივე არჩეულ ხელისუფლებასთან და დეპუტატთან. მხოლოდ ერთს ვიტყვი, დღეს „ქართულ ოცნებას“ მცხეთაში პულსი რომ არ ესინჯება, ჩემი აზრით, ამაში დიდი „წვლილი“ მიუძღვის მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძეს. მე არ ვიცი ეს მიზანმიმართულად მოხდა თუ უნებლიედ, მაგრამ ვითარებამ აჩვენა, რომ ბატონი ხუნდაძე ნამდვილად არ არის „ქართული ოცნების“ კადრი.

გია გაბრიჭიძე (ჟურნალისტი): 11 წლის თავზე რომ იგივე საშიშროების წინაშე ვდგავართ, ასეთი რამ რომ მოხდებოდა, ადრე არაერთხელ გვისაუბრია ჟურნალისტებს. ეს საზიზღარი კოჰაბიტაცია, რომლის მწარე შედეგსაც ვიმკით, თურმე ქართველმა ხალხმა დაავალა ხელისუფლებას. რეალურად კი იმის ბრალია, რომ გარკვეული პოლიტკორექტულობა, „გავლენიანი“ საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ რაღაც მონური შიში და მორჩილება გამოვიჩინეთ, ისინი რას იტყვიან, გაგვიჯავრდებიანო. ვერავინ გაგვიჯავრდება, ხომ ხედავთ რამდენი ხალხი გამოვიდა. ვინც ფიზიკურად ვერ მოვიდა, იმ განწყობაზეა, რომ ნაციონალური რეჟიმი უნდა მოშორდეს ქვეყანას. ეს ჩვენ კი არ მოგვიგონია, გერმანიაში დღესაც აჩვენებენ საკონცენტრაციო ბანაკებზე ფილმებს და გმობენ ფაშიზმს, ჩვენ კი თურმე არ უნდა ვისაუბროთ ნაციონალების ცხრაწლიან სისხლიან რეჟიმზე. „პატრიოტთა ალიანსს“ შესანიშნავი რეზოლუცია აქვს, პარლამენტის მიერ ამ რეზოლუციის მხარდაჭერა და მიღება საბოლოოდ დაამთავრებს ამ უბედურებას. გიორგი მარგველაშვილი გვპირდებოდა, როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, კოჰაბიტაცია დამთავრდებაო, რატომ არ შეასრულა დანაპირები, რაღაც ვერ ვამჩნევ დასრულებას. ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ბოლო რამდენიმე დღეა ვამჩნევ, მიხვდნენ თავიან შეცდომებს და მზად არიან რეალური ნაბიჯები გადადგან გამოსასწორებლად. ნაციონალები რომ ამბობენ შეცდომები დავუშვითო, ეს შეცდომა კი არა, დანაშაული იყო. მე დღეს აქ პროტესტის გამოსახატად არ მოვსულვარ, ამ უამრავი ადამიანის ერთიანობის მხარდასაჭერად მოვედი, მათ შორის, იმ ხალხის, რომლებმაც დღეს მოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ იგივე აზრზეა. ხალხმა უნდა

დაიჯეროს უმთავრესი, რომ თვითონ არის ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღები, მის ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივი და ცხადია, რომ არცერთ ნორმალურ ადამიანს არ უნდა იმ სასტიკი რეჟიმის დაბრუნება, ამიტომ ახლა ყველამ კეთილი ინებოს, მივიდეს არჩევნებზე და უარი უთხარი სისხლიანი რეჟიმის დაბრუნებას, რომ მერე ცნობილი ანეგდოტის პერსონაჟივით შვილიშვილების წინაშე არ გვქონდეს სათქმელი, ბაბუ, მე დამხვრიტესო.

ხათუნა ხოფერია (ყოფილი პარლამენტარი): ჩემთვის კარგი მაგალითია, ჩემმა შვილიშვილმა რომ დამირეკა, რომელიც 16 წლის ხდება, მეც მოვდივარ ამ შეკრებაზეო. ასე რომ, მესამე თაობასთან ერთად მიწევს სამართლიანობისა და თავისუფლების სადარაჯოზე ყოფნა. იმედი მაქვს, ეს ოდესმე დამთავრდება, თუ არა და ჩემს შვილიშვილებთან ერთად გავაგრძელებ ბრძოლას. რაც შეეხება გრიგოლ ვაშაძის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას, ჩვენ ადამიანებს ვერ შევცვლით, არსებობენ ბოროტი, სულმოკლე თუ სულგრ-

ძელი ადამიანები, ე.ი. იყვნენ სულმოკლე ადამიანები, რომლებისთვისაც სხვისი ტკივილი არაფერს ნიშნავს, ან ავიწყდებათ. ღმერთმა ამ სიმართლით აცხოვროთ, მეტს ვერაფერს ვიტყვი.

მალხაზ თოფურია (ვეტერანი მეომარი): ამ შეხვედრაზე ის ადამიანები მოვიდნენ, რომლებსაც მოკლე მეხსიერება არ აქვთ. ვისაც დაეზარა არჩევნების პირველ ტურში საარჩევნო უბანზე მისვლა, ვერ აცნობიერებს, რომ ისევ განმეორდება, რაც 11 წლის წინ მოხდა. ის უბედურება რომ არ განმეორდეს, ყველა უნდა დავირაზმოთ, მივიდეთ არჩევნებზე და დავასრულოთ ნაციონალები, თუმცა არ მგონია, ამით დასრულდეს ის სიგიჟე, რასაც ნაცმოძრაობა ჰქვია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კიდევ ერთი ლურსმანი უნდა დავაჭედოთ მათ პოლიტიკურ კუბოს. ოღონდ აქ ერთი ფაქტორიცაა, ხელისუფლებამაც უნდა ივარგოს, თორემ საზოგადოება ამისთვის დიდი ხანია მზადაა.

დავით ახრახაძე (სამხედრო ვეტერანი): ამ შეკრების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ყელში ამოვიდა კოჰაბიტაცია. ეს უბრალოდ არჩევნები არ არის, დიდი პოლიტიკის ნაწილია. საიდან არ შემოგვიარა საკაშვილმა, ყველანაირად ცდილობს შემოძვრომას. წარმოუდგენელია ეს 600.000 ადამიანი არ ენდობოდეს დიპლომატს, რომელსაც საფრანგეთი ენდობოდა და მხარს უჭერდეს „კაგებეს“ გამოზრდილ კადრს. სალომე ზურაბიშვილს რომ მოიხსენიებენ რუსეთის აგენტად, საფრანგეთი იმდენი წელი რუსეთის აგენტს ამუშავებდა საგარეო სამინისტროში, ეს ხომ სასაცილოა?! უკვე ძალიან დავიღალეთ, უნდა დამთავრდეს „ქართული ოცნების“ უუნარობა, მათ ყველანაირად დავუდგებით გვერდით, რომ დაასრულოს ეს განუკითხაობა. 7 ნოემბრის დარბევის დაზარალებული ვარ, ისეთი ადამიანი მოკლეს ცემაში, რომელსაც არცერთი ხელი არ ქონდა. მერე გვეუბნებიან, მკვლელი ამოიცანითო, როგორ ამოვიცნო, როცა მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩამოაცვა ნიღბები ამ მარბიელ-მკვლელებს?!

პაატა აბულაძე („ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის და სხვა პრესტიჟული სამხედრო ჯილდოების კავალერი): მე მეგონა 2012 წლის 1 ოქტომბერს დავამთავრე №5, თურმე არ დამიმთავრებია. ბოლოჯერ დავეხმარებით „ქართულ ოცნებას“, უფრო ზუსტად, საქართველოს ვუდგებით მხარში, მივალთ არჩევნებზე და შემოვხაზავთ 48-ს, იმის გამო, რომ დრო გვქონდეს მესამე პოლიტიკური ძალის ჩამოსაყალიბებლად. არჩევანი მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის არ უნდა გვქონდეს გასაკეთებელი, ხელისუფლებამაც ჭკუა უნდა ისწავლოს. მეორე ტურში არ მონაწილეობა და სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის არ მიცემა ნიშნავს, იმ სისტიკის უკან მობრუნებასთან ერთად, ფაქტობრივად არ მექნება მესამე ძალის ჩამოყალიბების დრო, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

®

ბელადი მიხოს ჰარამხანა გაერთიანდა!

„ცოცხილონალური“ მოძრაობა კვლავ ერთადაა!

შერიგდნენ, ხალხო, შერიგდნენ, ჩაეხუტნენ, მპუა, მპუა, მპუაო, ერთმანეთს ნაღვლის ბუშტებიდან წვენები ამოუღეს, ვახტანგურად გადაჰკრეს. ამან უთხრა, ბიჭო, როგორ მომნატრებიხარო, ბოდიში, მაპატიე, ჯართი რომ გიწოდეო. ამან ჩაიცინა, კბილებიდან დორბლი გადმოუვიდა, თითი ცხვირთან ვიოლინოს ჯოხივით გაისვ-გამოისვა და მიუგო – არაუშავს, ძმაო, მაგაზე უარესები უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ როცა საქმე სამშობლოს ეხება, ყველაფერს ვივიწყებო. ეს ეშხში შევიდა, მართლა მაგარი ყოფილხარ, რა ჯართი, რომელი ნაგავი, ამიერიდან ფოლადს დაგიძახებო. ვერ შეჰკადრა, სტალინს დაგიძახებო, ნამეტნავი არაევროპული გამოვიდოდა. მოდი, ბიჭო, ერთი გადავამოწმო, ბეჭზე ხალი რომ გქონდა, ისევ გაქვს თუ ციხეში წაგიშალესო? – ჭყლოპინებდა მიხო თავისებურად. გადაამოწმა, ცოტა გაცრეცილიყო, მაგრამ ისევ ჰქონდა. ჰი, ჰი, ჰი, – სვიხვინებდა გიგილო და იყო ერთი სიამტკბილობა.

აი, ასეთი სცენა გათამაშდა ამ დღეებში ჰელსინკში, სადაც „ევროპის სახალხო პარტიის“ ცნობილმა „ჟულიკებმა“ ყრილობა გამართეს და ასევე ცნობილი „ჟულიკები“ მიიწვიეს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, „ცოცხიონალური მოძრაობა“ და „ძონძიონალური მოძრაობა“ (რატომღაც „ევროპიული საქართველო“ რომ დაარქვეს). ჰელსინკში ჩავიდნენ ძველი ძონძები – გრიგოლეტო ვაშაძე, გიგილო უგულავა, კობა ნაყოფია (ამ ფულის მუთაქას დასაფინანსებლად დაათრევენ), აფრასიძეთა მჟლეტი გიორგი ბარამიძე და კიდევ ვიღაც უსახურები, ყველას ვერ დაიმახსოვრებ.

„მნიშვნელოვანია, რომ „ევროპის სახალო პარტიის„ ყრილობაზე ვხვდებით, იმიტომ რომ „ევროპის სახალხო პარტიამ„ გადამწყვეტი როლი ითამაშა „ევროპული საქართველოს“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დაახლოებაში, საერთო პლატფორმის შექმნაში. გიგი უგულავას მადლობა ვუთხარი მართლა ძალიან მაგარი პოზიციის გამოხატვისთვის, რაც გააკეთეს გიგიმ და სხვა ლიდერებმა. ეს არის ახალი პოლიტიკური კულტურის ბოლომდე დამკვიდრება საქართველოში. მათ ჰყავთ ძალიან ბევრი აქტივისტი, მათ ჰყავთ ძალიან ბევრი გულწრფელი მომხრე და ყველანი მიეხვდით, რომ საბოლოო ჯამში, ჩვენ ვართ ერთი ოჯახი, ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო, გვაქვს ერთი სამიზნე, გვყავს ერთი მტერი და ჩვენი ქვეყანა გვაქვს გადასარჩენი. ახალი ერთობა იქმნება, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ეს ორი პარტია და ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ჩვენი ურთიერთობებია“.

ხედავთ? როგორც მიხო ამბობს, ყველანი მიხვდნენ, რომ საბოლოო ჯამში არიან ერთი ოჯახი და ჰყავთ ერთი მტერი, ბიძინა ივანიშვილი და სამშობლო აქვთ გადასარჩენი. ახლა მთავარია, ვის მხარეზე დადგებიან გიგილოს ყოფილი და ახლანდელი ცოლები, რას იტყვიან ამ ყოფილი და ახლანდელი ცოლების ყოფილი და ახლანდელი ქმრები. პრინციპში, საწინააღმდეგო დიდი, ფართო და მტკიცე ოჯახებისა? იარონ, იარონ, იარონ... თუმცა თითო უგვანო ყველგან თუ არ გამოერია, რაა მამული და ქართული საზოგადოება? აგერ, თამარ ჩერგოლეიშვილი, რომელსაც ნიკოლოზ გვარამია ყ...ქალას ეძახის და მისი ქმარი გიგა ბოკერია იმავე ნიკოლოზთან ძმაკაცობს, საქვეყნოდ აცხადებს, სააკაშვილის ნდობა რომ წარმოუდგენელია, იქიდანაც გამოჩნდა, რა განცხადებაც გააკეთა ერთ ოჯახზეო:

„ის, რომ ჩვენი ინტერესები სალომე ზურაბიშვილის დამარცხებასთან მიმართებით ერთმანეთს დაემთხვა, მასთან ერთ ოჯახად არანაირად არ გვაქცევს, მაგრამ სასურველის რეალობად გასაღება, მისი საყვარელი სპორტია. არსებობენ წებოვანი ადამიანები, რომლებსაც კარს რომ უკეტავ, ფანჯრიდან მოძვრებიან და იმათ ფანჯარაც დაკეტილი უნდა დანელობამ და ამიტომაც არ შეეხო ამ თემას, მეტიც, ყველანაირად შეუწყო ხელი „მიშმაკაკების“ ერთიანობას, ანუ შიდა ცოლ-ქმრულ გადაჯგუფება-გადმოჯგუფებას. ესაო, ეს ყველაფერი პირადი ცხოვრებაა და ვერაფერს ვიტყვითო. გარდა ამისაო, როგორც იცით, ოჯახი ხრამია, მაგათ კაი სამსახურებიც უნდა მივცეთ, ყველა დავასაქმოთ, რათა იდილია არ დაერღვეთო. ერთი ეგ არი, იდილიას კოჰაბიტაცია უწოდეს და ჩვენც, უბრალო მოკვდავთ გულები აგვიჩუყდა. ან კი რატომ არ უნდა აგვჩუყებოდა, განა რამე გვაქვს საწინააღმდეგო დიდი, ფართო და მტკიცე ოჯახებისა? იარონ, იარონ, იარონ... თუმცა თითო უგვანო ყველგან თუ არ გამოერია, რაა მამული და ქართული საზოგადოება? აგერ, თამარ ჩერგოლეიშვილი, რომელსაც ნიკოლოზ გვარამია ყ...ქალას ეძახის და მისი ქმარი გიგა ბოკერია იმავე ნიკოლოზთან ძმაკაცობს, საქვეყნოდ აცხადებს, სააკაშვილის ნდობა რომ წარმოუდგენელია, იქიდანაც გამოჩნდა, რა განცხადებაც გააკეთა ერთ ოჯახზეო:

„ის, რომ ჩვენი ინტერესები სალომე ზურაბიშვილის დამარცხებასთან მიმართებით ერთმანეთს დაემთხვა, მასთან ერთ ოჯახად არანაირად არ გვაქცევს, მაგრამ სასურველის რეალობად გასაღება, მისი საყვარელი სპორტია. არსებობენ წებოვანი ადამიანები, რომლებსაც კარს რომ უკეტავ, ფანჯრიდან მოძვრებიან და იმათ ფანჯარაც დაკეტილი უნდა დარა უნდა თქვან? ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბელადი მიხო იტყვის და გადაწყვეტს. ამათი ოჯახი იმიტომ არის მტკიცე, რომ ცოლებიც საერთო ჰყავთ და ქმრებიც, ერთმანეთთან „კრუგზე“ დადიან. შეიძლება რაღაც პეროოდში, პოლიტიკური მოსაზრებების გამო გაიყარონ, მაგრამ ბოლოს, რაღაც მომენტში მიდის ჩახუტება და ცრემლების ღვარღვარი. ეტყობა, ძაან მაგარია, როცა შენი ახლანდელი ცოლის ყოფილ ქმარს ჰელსინკში შეხვდები, აყივყივებულ თვალებში ჩახედავ და ეტყვი: ძმაო, მართალია, ცოლი წაგართვი, გული გატკინე, მაგრამ ყველაფერი უნდა დავივიწყოთ, ახლა სამშობლო გვაქვს გადასარჩენი, ერთი მტერი გვყავს, როცა ეს ყველაფერი ჩაივლის და ჩვენ ისევ მოვალთ ხელისუფლებაში, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ და შეიძლება ცოლი დაგიბრუნო კიდევაც, თუ ვერ დაგიბრუნებ, აგერ, ბელადს ვეტყვი, ან სხვის ცოლს მოგგვრის, ან ჩემს რომელიმე ყოფილსო. ისიც, ის ცალად დარჩენილი, ლამის „ბომჟად“ ქცეული, მაგრამ ძალაუფლების მოყვარული ასლუკუნდება – ჰო, ძმაო, არ არი ბაზარი, როგორც პარტია გადაწყვეტს, ისე იყოს, ჩემთვის მთავარი სამშობლოაო. ეგრეც უნდა იყოს, ხალხო, თუ გინდათ, რომ ოჯახი შეინარჩუნოთ, თუ გინდათ, რომ თქვენი ოჯახი მტკიცე იყოს, ყველა წევრს უნდა მისცეთ მუდმივი განახლების უფლება, ოღონდ ეს განახლება უნდა ხდებოდეს პარტიის ფარგლებში! დიახ, ეს ამბავი ძალიან კარგად გააცნობიერა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ და ამიტომაც ერთ ოჯახად ერთიანობა ეწოდა. ბებიაჩემმა მასწავლა ჰალსტუხის შეკვრასთან ერთად და ძალიან გამომადგა“.

ამას მოჰყვა ბოკერიას განცხადება, ჯერ ზურაბიშვილი დავამარცხოთ, მერე ისევ „ნაცმოძრაობისა და მიხოს ოპონენტები ვიქნებითო. ავი ენები ამბობენ, თამარა გიგას შორდებაო, გაშორების მიზეზი მიხოსთან გარიგებააო. არ ვიცი, შეიძლება ეს შავი ჭორია, მაგრამ აშკარად ვხედავ, გიგა კბილებით იცავს ოჯახის სიმტკიცეს – თამარას ანუგეშებს, მაიცა, ქალო, ჯერ სალომე დავამარცხოთ და მერე ისევ ოპონენტები ვიქნებითო. იმასაც ვხედავ, თამარას რაღაცრაღაცები არ ესმის, ვერ აცნობიერებს და ნებით თუ უნებლიედ არღვევს ერთიან, ძმურ ოჯახს. ისე, რაღა დაგიმალოთ და... თუ „ჩერგო“ გიგოს გასცილდება, არც ეგ იქნება პრობლემა, მიხო უგულავას ან რომელიმე მიშმაკს ჩამოართმევს ცოლსა და შერთავს ბოკერიას, მერე ყველაფერს ისე მოაწყობს, თამარასაც გაათხოვებს რომელიმე მიშმაკზე და ისევ დაისადგურებს სრული იდილია. იცით, აქ მთავარი რა არის? სისხლი უნდა გქონდეს „ნაცმაცური“, რაც შემდეგ გადადის გენეტიკაში. თუ შენ გენეტიკურად ხარ „ნაცი“ და გაქვს გაწყვეტილი შუბლის ძარღვი, ვერც ბიძინა ივანიშვილი მოგერევა, ვერც „ქართული ოცნება“ და ვერც ხალხი!

ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩემო მურაბა ხალხო, ჩვენ იმდენად მიმტევებელი და გულაჩუყებული ხალხი ვართ, გიგილო უგულავამ 50 მილიონი დოლარი ჩამოიჭრა ბიუჯეტიდან, სახლში წაიიმასქნა და დაიჭირეს, განცხადებები ვაკეთეთ: კი, ჰო, ეგ კაცი ნაძირალაა, ყველაფრის ღირსია, მაგრამ დასაჭერად ყველა ცოდოაო. დღეს საქართველოში ერთი უცნაური ტენდენცია მკვიდრდება – ვიღაცამ ბავშვი რომ გააუპატიუროს, აკუწოს, ცელოფანში გაახვიოს და მტკვარში გადააგდოს, იმ ვიღაცასასაც კი გამოუჩნდებიან ხოლმე დამცველები და გულშემატკივრები. გამოვარდება მკვლელის დედა ან ბებია, დაიძახებს, ჩემი შვილი მაგას არ იზამდაო და მორჩა, იწყება „გაპრავება“, ნამდვილად აბრალებენ, მაგას ბიძინა ივანიშვილის მეტი არავინ ჩაიდენდა, მავანს დაავალა და იმან გააკეთაო. ჩვენც ვაპატიეთ გიგილოს, სამ წელიწადში გამოვუშვით თავისუფლებაზე, ზის ახლა და ლამის ყოველდღე გვიკითხავს მორალს პატიოსნებასა და ოჯახურ სიწმინდეებზე. ქართველი საზოგადოების ნაწილს ისედაც ნაღრძობი აქვს ტვინი და ამათ ხომ უარესად აურიეს და გამოურეცხეს. სამწუხაროდ, ამ ტვინგამორეცხილებსაც იგივე უფლებები აქვთ, როცა საარჩევნო უბანზე მიდიან, როგორც ტვინგამოურეცხავებს.

სიტყვა გამექცა... მე ერთიან და მტკიცე ოჯახზე გიყვებოდით, რომლის საზეიმო ცერემონია ამ დღეებში გაიმართა ჰელსინკში. რა იქნება შედეგი? ეს ჩვენზეა დამოკიდებული... იყვნენ ერთად, ჩვენში ზოგიერთ ბრიყვს მათი დროებითი ე.წ. განშორება მართალი ეგონა და ნიშნისმოგებით ყვიროდა, ხომ დაგშალათ ბიძინამო? მერე წამოვიდა კულუარული ინფორმაცია, „ევროპულ საქართველოს“ ივანიშვილი აფინანსებსო. თუ აფინანსებს, მაშინ ამათი ოჯახი იმათ ოჯახს არ უნდა შეერთებოდა. ნუ, კაცურ „პონტში“ ეგრეა და ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ ამათ კაცობასთან საერთო არაფერი აქვთ!

ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ? ჩვენ ისევ ის უნდა ვქნათ, რასაც აქამდე ვშვრებოდით, უნდა ვიბრძოლოთ სამართლიანობის აღდგენისა და სინდისის დამკვიდრებისთვის. მართალია, გაგვიჭირდება, მაგრამ აბა, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, დალოცვილებო?!

გელა ზედელაშვილი

სალომე ზურაბიშვილს ქართული მწერლობა სრულ ნდობას უცხადებს

ერთად საქართველოსთვის!

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დასკვნითი მეორე ტური პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატისთვის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილისთვის აშკარა აღმავალი წარმატებით მიმდინარეობს. ნაციონალებმა იგრძნეს თავიანთი კონკურენტის მზარდი სიძლიერე და ახლა ცდილობენ, დაშინების გზით თვითონ ჩამოშორდეს არჩევნებს, მაგრამ ჩვენი ქალბატონი იმ გორისა არ გახლავთ, რომელსაც უკანდახევა სჩვევია. „კახელიცა ვარ, მეგრელიც, – აცხადებს იგი, – ჩემი პირველი გვარის დამფუძნებელი სურამის ციხის სიმტკიცეს ჩადუღაბებია ქვათაკირად, ხოლო დედა კედიას ქალი მყავდა, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის, ეროვნული ცნობიერების ლიდერის, სპირიდონ კედიას სისხლ-ხორცი, ასე რომ, ეს მუქარები მე ბრძოლის მეტი ჟინით აღმანთებს, რადგანაც საქართველოს მომავლისთვის თურმე საჭირო პიროვნება ვყოფილვარო“.

სამეგრელოში ჩემი ორკვირიანი ყოფნის პერიოდში ნაციონალების მომხრე სანათესაო-საამხანაგოსთან დალაპარაკებისას, ნიშნისმოგებით მითხრეს: სალომე ზურაბიშვილი მისი გამარჯვებითვის გამოყოფილი ფულით დავამარცხეთო. ის 200–200 ლარი ორჭოფულად განწყობილი ელექტორატის მოსყიდვისთვის გახარჯულა თურმე.

გაიმარჯვებდა, აბა, არა?! „ოცნებაში“ ჩანერგილი „ნაცების“ ზეგავლენით არჩევნების სადავეები ცხვრის ტყავში საიმედოდ შეფუთულ მგლების ხელში აღმოჩნდა და შედეგმაც არ დააყოვნა. მთელ რეგიონში მხოლოდ ხობი დადგა სალ კლდესავით, მოუსყიდველი ხობი, რადგანაც იქ **ლაშა გვასალიას** ფენომენი ტრიალებდა, მისი და **ნანა**, მისი საძმო და სამართლმადიდებლო ხობის დედათა მონასტრის მესვეურობით.

ეს პირველ ტურში, მაგრამ რას იღონებენ „ნაცები” მომდევო ეტაპზე, როცა საარჩევნო კომისიებიდან გაძევებულია მათგან მსტოვრულად შეგზავნილი ხალხი; როცა რეგიონში არჩევნებს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მხარის გუბერნატორი, ბატონი ალექსანდრე მოწერელია და მისი თანამოსაგრე და მამულიშვილობით განთქმული ლაშა გვასალია ჩასდგომია სათავეში. ახლა საიდან მოიტანენ „ნაცები“ ამ 200–200 ლარს?!

როგორც მოსახლეობასთან საუბრიდან გამოვიტანე აზრი, ისინი შემოხაზავენ, დიახაც, იმ პიროვნებას, რომელიც უკეთეს და ამავდროულად, რეალურ მომავალს ჰპირდება საქართველოს მოსახლეობას; რომელსაც კოდორის და დალის ხეობები არ მიუყიდია რუსეთის რეაქციული ძალებისთვის; რომელსაც **გრიგოლ ნოდარის ძე ვაშაძის** მსგავსად „სუკ“-ის აგენტის, **უფროსი ლეიტენანტის მოწმობა – N14192** არ უდევს ჯიბეში, (რომელთაგან დატრიალებულია საქართველოში ნიჩბებით აჩეხილი **9 აპრილი**, ზარბაზნებით გაფატრული **6 იანვარი** – ეროვნული ხელისუფლების დამხობა, 27 – სექტემბერი – **სოხუმის მოღალატეობრივი დაცემა-გაყიდვა** და კიდევ ათასი ხილული თუ უხილავი უბედურება საქართველოს თავზე); რომლებიც საპენსიო ანაზღაურებას ოცჯერ, ოცდაათჯერ აღმატებულ დამატებით ხელფასებს არ იღებენ და სინგაპურიზაციისათვის კი არა ქართველიზაციისთვის ეთვალისჩინებათ საქართველო.

ყველაზე გულგასახარი ის გახლავთ, რომ ამ არჩევნებმა საქართველოს მომავლის რწმენა ერთიათად განმიმტკიცა. ამისი გარანტი კი წლობით გახლეჩილი ჩვენი ეროვნული მწერლობის ერთ მუშტად შეკვრა მიმაჩნია, ერთად დგომა ერთიან მომავალზე, რომელსაც სამშობლო ჰქვია სახელად და რომლის უმეტოქო მეოხად საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი მესახება.

პირადად ჩემთვის, როგორც ქართული მწერლობის რიგითი ჯარისკაცისთვის, სიამაყის აღმძვრელი იყო, ქალბატონი სალომეს ალტერნატივის, პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის **დავით მაღრაძის** რაინდული პოზიცია. ამ პიროვნებამ მთელ საქართველოს მოუწოდა არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ. ქუდზე კაცს უხმო, რათა ერთობლივად დავამარცხოთ ნაციონალების შავი ჭირი.

გაცილებით ფართო მასშტაბის გამოდგა საქართველოს მწერალთა სახლში 6 ნოემბერს **ნანა კვაშილავას** ჩინებული პოეტური კრებულის **„ღიმილი ჩემი ავტოგრაფია“** პრეზენტაციაზე შეკრებილი საზოგადოების ძალისხმევა. აქ, 25-წლიანი მიგრანტობის შემდეგ რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული პოეტესას სულიერი გრადაციის წარმოჩენის მხარდამხარ, მრავალ სადღეისო პრობლემასაც გაეცა სათანადო პასუხი. გამომსვლელები სრულ სოლიდარობას უცხადებდნენ ქალბატონ სალომეს, რომელმაც თავის საარჩევნო კამპანიაში უმთავრეს ფასეულობად სიტყვა, ფერწერა, მუსიკა დაასახელა. ხელოვნება, ზოგადად, ზრუნვა შემოქმედი ხალხის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: **რევაზ მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, კობა არაბული, ბაღათერ არაბული, თემურ ჩალაბაშვილი,** ისინი სავსებით იზიარებენ პრეზიდენტობის კანდიდატის **სალომე ზურაბიშვილის** პოზიციას, რომლის მიხედვით ყველა მიგრანტი ქართველი სამშობლოში უნდა დაბრუნდეს, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა ისრაელმა. ჩვენი ხსნა ქართველი კაცის სამშობლოში დაბრუნებაა.

„საქართველოსკენ!“ დაარქვა თავის წიგნს ქალბატონმა სალომემ და წესით, ამ შეუქცავად პროცესს უძღვნის იგი თავის მოღვაწეობის ფინიშს – ქართველების მასობრივ დაბრუნებას სამშობლოში, სადაც ყველა პირობა იქნება შექმნილი მათი ნორმალური ცხოვრებისათვის. სხვანაირად ჩვენს ქვეყანას გამარჯვება არ უწერია. ამისთვის და ამის გამო დგას ქართული მწერლობა, ცხადია, საღად მიაზროვნე უმრავლეს ქართველობასთან ერთად, სალომე ზურაბიშვილის გვერდით, როგორც გარანტია ცივილიზებული, წარმატებული საქართველოსი.

მწერალთა სახლში პოეტ ნანა კვაშილავას წიგნის პრეზენტაცია დაამშვენა ჩვენი მოზარდი თაობის პოეტესას ლექსებზე შექმნილმა კომპოზიციამ.

დაბოლოს, როგორც ღონისძიების მიწურულს თავად პოეტმა ბრძანა, ჩვენ ვერ გავწირავთ ამ ანგელოზებს ვერც რუსულ სივრცეში ასიმილირებისთვის, ვეღარც აშშ-ის გაშლილობაში გაუცხოებისთვის და ვეღარც ევროპის წინააღმდეგობრივ გაორებაში გამანქურთებისათვისო.

საქართველოსთვის ყველა და ყველაფერიო, ამგვარი სიტყვებით დაასრულა მან წარუშლელი საღამო.

გური ოტობაია,
მწერალი.

®

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი სოფელ წინწყაროში, რძის პროდუქტების საწარმო „წინწყარო+“-ს ესტუმრა და წარმოების პროცესს გაეცნო. საწარმო ევროკავშირის მხარდაჭერით სარგებლობს.

● 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარებით 890-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარებებზე დღეის მდგომარეობით გახარჯულია 222 937 ლარი.

● სოფელ დიდ თონეთში, გრუნტიანი შიდა საავტომობილო გზები მოსწორდა გრეიდერის საშუალებით და მოეწყო სანიაღვრე არხები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● გურჯაანის დიდების მემორიალის ნაწილობრივი რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის ფარგლებში აღდგენილია ჯარისკაცის მამის მონუმენტის კვარცხლბეკი, დაზიანებული კიბეები, ბილიკები და კედლები; მოეწყო დასასვენებელი სკამები; მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები; შემოიღობა მონუმენტის უკან მდებარე სკვერი;

სამუშაოებზე სულ 33 333 ლარი დაიხარჯა.

● ქალაქ გურჯაანში, ფარნავაზის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარეობს მიწის მოსწორება და ბორდიურების დემონტაჟი. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი 293 000 ლარით აფინანსებს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მიმდინარე წელს კახეთის რეგიონში შემავალ თითოეულ მუნიციპალიტეტსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ იორმუღანლოში ახალი მუნიციპალური სერვისი – „ქალთა ოთახი“ ამოქმედდა. პროექტის განხორციელებას ხელი შეუწყვეს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციამ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ, ორგანიზაცია HEKS/EPER-მა და Mercy Corps-ის პროექტის „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამამ“.

„ქალთა ოთახი“ არის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი ღია სივრცე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში და გაზარდოს/წაახალისოს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ქალთა ოთახის“ საშუალებით ადგილობრივი ხელისუფლება თავის მოსახლეობას (განსაკუთრებით ქალებსა და გოგონებს) სთავაზობს დამატებით საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე სივრცეს, სადაც შესაძლებელია კომპიუტერითა და ინტერნეტით, საბავშვო კუთხით, სხვადასხვა შეხვედრის მოსაწყობად საჭირო სივრცით, ბიბლიოთეკითა და სხვა მომსახურებით სარგებლობა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● უკანაფშავის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შუაფხოში რძის გადამმუშავებელი საწარმო შენდება. პროექტი „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება. საწარმო, სამომავლოდ, თანადაფინანსების პრინციპით გადაეცემა ადგილობრივ კოოპერატივს „ფხოვი 2017“-ს, რომელშიც 32 ადგილობრივია გაწევრიანებული.

1,5 ტონა წარმადობის რძის საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოებული მაღალი ხარისხის რძის პროდუქტს აწარმოებს, იგეგმება აგრეთვე ტრადიციული პროდუქტის, დამბალხაჭოს წარმოება.

პროექტი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

● შენდება კობი-გუდაურის ახალი საბაგირო გზა, რომლის სიგრძე დაახლოებით 7,5 კმ-ია. ეს საბაგირო უამინდობისა თუ დიდთოვლობის გამო ყაზბეგის გზის ჩაკეტვით გამოწვეულ პრობლემასაც მოაგვარებს. გარდა ამისა, ტერიტორია ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს, რაც მოთხილამურეებს შესაძლებლობას მისცემს გვიან გაზაფხულამდე ისრიალონ.

დუშეთი

მხარის გუბერნატორი შალვა კერესელიძე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ გიორგი შენგელიასთან ერთად კობი-გუდაურის საბაგირო გზის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

ახალი საბაგირო გზა გუდაურს ტურისტულად კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური წინსვლისთვის.

სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის ბოლოს იგეგმება. პროექტის ღირებულება 81 მილიონი ლარია და მას მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

● „სუფთა პროდუქტი და თავისუფალი ბაზარი“ – ამ პროექტის ფარგლებში ქალთა ასოციაცია „ბაზალეთმა“ მუნიციპალიტეტის სოფელ მჭადიჯვარში გამართა პრეზენტაცია თემაზე: „DCFTA-ის სტანდარტები და მეფუტკრეობა“. მონაწილეებს ესაუბრნენ პროექტის მნიშვნელობაზე და იმ საგრანტო კონკურსის შესახებ, რომელიც მეფუტკრეობასა და თაფლის წარმოებას ეხება. მჭადიჯვარი და გრემისხევი ამ მხრივ პრიორიტეტულ სოფლებად არის გამოცხადებული.

● მჭადიჯვრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოძისში ახლად გახსნილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოში 50 ძირი ფიჭვისა და ნაძვის ნერგი დაირგო. აქციის ინიციატორია სოფლის მკვიდრი ლევან შერმადინი, ხოლო ნერგები მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის ფასანაურის სატყეო უბანმა გადასცა საჩუქრად.

● მუნიციპალიტეტის ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ახალციხეში დაიწყო სასმელი წყლის სისტემის ქსელის რეაბილიტაცია, კერძოდ, შენდება ახალი წყალშემკრები რეზერვუარი. პროექტის დასრულების შემდეგ სოფელ ახალციხის ყველა მოსახლე, 25 კომლი, წყალს დღეღამის განმავლობაში უწყვეტად მიიღებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების საერთო კრებები გრძელდება. ამჯერად ჭითაწყარის, ცაცხვისა და ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრებს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი შენგელიაც ესწრებოდა.

ჭითაწყარში მოსახლეობამ პრიორიტეტად დაასახელა საბავშვო ბაღისა და სოფლის ამბულატორიის რეაბილიტაცია, კოსტავას ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება.

ცაიშში პრიოიტეტულია სოფლის ცენტრის მოწყობა, წყალმომარაგების საკითხის მოგვარება და საგარდაოს უბანში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.

წყალმომარაგების პროექტი უკვე არსებობს, რომელიც ლეპეტერეს წყლის ბაზაზეა შექმნილი და წყლის პრობლემას ცაცხვის, ცაიშისა და ურთას მოსახლეობას მოუგვარებს. სამუშაოები 2019 ცაიშისა და ურთას მოსახლეობას მოუგვარებს. სამუშაოები 2019 წელსაა დაგეგმილი.

ფოთის მუნიციპალიტეტში

● ფოთის პოლიკლინიკაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა. სამედიცინო აქციაში თანამედროვე სტანდარტების აპარატურით აღჭურვილი სხვადასხვა პროფილის ექიმთა ჯგუფი მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ქირურგი, ანგიოლოგი, ტრავმატოლოგი, ალერგოლოგი, დერმატოლოგი, ნეფროლოგი და გასტროენტეროლოგი. კონსულტაციების შემდეგ პაციენტებს, საჭიროების შესაბამისად, ლაბორატორიული და ულტრასონოსკოპიური გამოკვლევები ჩაუტარდა თ.

სამედიცინო გამოკვლევების მიმდინარეობას გაეცნენ და მოსახლეობას შეხვდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილეები კოტე თოფურია და მამუკა პაპასკირი.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში, მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძართან მისასვლელ გზაზე ასფალტბეტონის საფარი საბოლოოდ 1160 მეტრზე დაიგება. პროექტით ასევე გათვალისწინებულია კიუვეტების, რკინაბეტონისა და ლითონის მილების მოწყობა.

მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით სურმავამ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ალექსანდრე ახვლედიანთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ღირებულება 192 518 ლარია, მას საქართველოს რეგიო-

ძლიერი საქართველოსთვის

სიღნაღი

ნებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებენ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● 10 ნოემბერს ქალაქ სიღნაღში მეთერთმეტედ გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „სიღნაღქალაქობა“.

მუნიციპალიტეტის თითოეულმა სოფელმა წარმოადგინა ე.წ. გლეხური წესით დამზადებული ღვინო და ამ კუთხისთვის დამახასიათებელი სამზარეულო. ბარათაშვილის ქუჩაზე გამოფენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრები (ხალიჩა, ფარდაგი, თექა, ქვილთი, კერამიკა, გობელენი და სხვა აქსესუარები).

ქალაქის დღესასწაულს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს,, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე 2012 წლიდან ქვეყნის გაზიფიცირებისათვის საჭირო წინასაპროექტო და გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს.

ამ მხრივ სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფალთა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქალაქის დარჩენილი ნაწილის და სოფლების გაზიფიცირება, გამართული და მდგრადი სისტემის შექმნა, ბუნებრივი გაზის შეუფერხებელი და უსაფრთხო მიწოდებაა.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში უკვე დაწყებულია წინასაპროექტო და გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოები. ეს სოფლებია: გოლასკური, ტყირი (თეკლათის ადმინისტრაციული ერთეული), სოფელი ბათარია (მენჯის ადმინისტრაციული ერთეული), კოტიანეთი, საჩიქობაო (ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეული), საბესელეო, საკილასონიო და საოდიშარიო (ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული).

სამუშაოების მიმდინარეობას „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ წარმომადგენლებთან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

გაზიფიცირებისთვის საჭირო წინასაპროექტო და გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს მთავრობა სრულად აფინანსებს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ და მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ლესიჭინეში (ოჩხომურის უბანი), ახალი საავტომობილო ხიდი გახსნეს. ღონისძიებას ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო, მათ მადლიერება გამოთქვეს ხელისუფლების მიმართ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის გამო.

სოფელ ლესიჭინეში, მდინარე ოჩხომურზე, ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინე-სენაკის საავტომობილო გზის 25-ე კილომეტრზე აშენებული ახალი საავტომობილო ხიდის სიგრძე – 170, ხოლო სიგანე 11 მეტრია. პროექტი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 6 577 834 ლარით დააფინანსა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, წლის ბოლომდე ბოლნისში კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდება. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ამ ეტაპზე ძველი, დაზიანებული ღობის დემონტაჟს ახორციელებს, რის შემდეგაც ახალი ღობის მშენებლობა დაიწყება. გათვალისწინებულია აგრეთვე ელექტროსამონტაჟო სამუშაოებიც.

სამუშაოების მიმდინარეობას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი მეშველიანი გაეცნენ.

● ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ბოლნისის მუნიციპალიტეტის სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურმა სპეციალური ტექნიკა შეისყიდა.

თამაზ სტეფანიას სახელობის ცენტრალურ სტდადიონზე, ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით, ახალი მინდვრის საფარია დაგებული. სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურმა საფარის მოვლისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი ტექნიკა შეიძინა.

ბოლნისის ცენტრალურ სტადიონზე განხორციელებული სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა დაათვალიერეს.

დავით შერაზადიშვილი: „იმისათვის, რომ ბოლნისის „სიონმა“ თამაშები საშინაო არენაზე გამართოს, თამაზ სტეფანიას სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა. ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით სტადიონზე მოეწყო მინდვრის ახალი საფარი, რომლის მოსავლელად სპეციალური ტექნიკის შეძენა გახდა საჭირო. ვიმედოვნებთ, 24 ნოემბერს ბოლნისის „სიონი“ 33-ე ტურის მატჩს თბილისის „ლოკომოტივთან“ ბოლნისის სტადიონზე გამართავს“.

დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტებში

● „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში, წალკის მუნიციპალიტეტში სოფელ ტბეთში და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიაში რძის გადამმუშავებელი კოოპერაციული საწარმოები აშენდება, რომლებიც 2019 წელს ამოქმედდება. საწარმოები აღიჭურვება სრული ციკლისთვის საჭირო დანადგარებით, როგორც ყველის დამზადებისთვის საჭირო აღჭურვილობით, ისე რძის ჩამოსხმის ტექნოლოგიური ხაზით. აქ შესაძლებელი იქნება აგრეთვე ქართული და ევროპული ტიპის ყველის წარმოება.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ თითოეულ მეპაიეს შესაძლებლობა ეძლევა სურსათის უვნებლობის თანამედროვე სტანდარტების დაცვით მოქმედ საწარმოში გადამუშავებული საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის შედეგად მიიღოს გაზრდილი შემოსავალი.

პროგრამით დადგენილი კრიტერიუმებით, საწარმო 75-პროცენტიანი თანადაფინანსებით გადაეცემა მეორე დონის იმ კოოპერატივს, რომელშიც გაერთიანებული სამი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივიდან თითოეულს ჰყავს არანაკლებ 200 ფური. 25 პროცენტის გადახდას კოოპერატივი 8 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● სოფელ სადახლოში გრძელდება სასმელი წყლის სისტემის მოწყობისა და შიდა ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები. დაგეგმილია წყალსადენის ახალი ქსელების მოწყობა (სიგრძე დაახლოებით 29 კმ), ასევე მრიცხველებისა და სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟი, ახალი რეზერვუარის მოწყობა და არსებულ სატუმბ სადგურში დამატებითი ტუმბოს დამონტაჟება. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობა შეუფერხებლად მომარაგდება სასმელი წყალით.

პროექტი მიმდინარეობს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, რომლის სახელშკრულებლო ღირებულებაა 1305935 ლარი.

● ინფრასტრუქტურული პროექტები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში:

სოფელ მარეთში დაწყებულია კორპუსებთან მისასვლელი გზისა და ეზოს მოასფალტების მოსამზადებელი სამუშაოები. დაიგება 6000 კვ.მ ასფალტბეტონის საფარი, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტმა 173 115 ლარი გამოყო.

სოფელ წერეთელში მიმდინარეობს ხელოვნურსაფრიანი კომბინირებული მინისაფეხბურთო მოედნის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო თანხა 73 370 ლარია.

ბოლნისი

დღეს და გუშინ

ნაციონალური ხელისუფლების არჩევნების გზით ქვეყნის სადავეებიდან მოშორების შემდეგ, საზოგადოებამ ნახა ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულობების ამსახველი ვიდეო-მასალა (რასაც თავად მწამებლები იწერდნენ), რაც პირდაპირ ამხელდა ნაცხელისუფლების ფაშისტური რეჟიმს, მაგრამ ხელისუფლებამ, რომლითაც ნაცები ხალხმა ჩაანაცვლა და რომელსაც ენდო, ეს ფირები „გაანადგურა“, ყოველშემთხვევაში ასე განაცხადეს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ევროპისაკენ მომზირალი ხელისუფლება, მოიქცა „აფრიკულად“, კრიმინალს ხელი დააფარა! ეს მოხდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის გარიჟრაჟზე და ამით გაცხადდა ხელისუფლება შემდეგ რა ნაბიჯს გადადგამდა და ეს ნაბიჯი იყო – კოჰაბიტაცია. საზოგადოების ის ნაწილიც კი, რომელიც დღემდე მხარს უჭერს ხელისუფლებას, კოჰაბიტაციას და კრიმინალზე ხელის დაფარებას, არ და ვერ შეეგუა, რაც „ვერ გაიგო“ ხელისუფლებამ, იმ ფონზე, როცა მისი წინამორბედი ხელისუფლების პირობებში, ნაცების მომხრეები, კრიმინალის არსებობის მიუხედავად, ნაცების მომხრეებად დარჩნენ. ამიტომ, როცა დღეს, მკვლელის დაკავების მოტივით, ზაზა სარალიძემ კარვები გაშალა თბილისის ცენტრში, ხელისუფლება, ამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, დაიბნა. ეს ყველაფერი კი გამოიწვია, იმან, რომ როცა კანონის აღსრულების მოთხოვნით ქუჩაში გამოსულმა, შვილმკვდარმა მამამ და მისმა მომხრეებმა ნაციონალური მოძრაობიდან (ნაცებისაგან ვითომ გამოყოფილმა პარტიებმა და არასამთავრობოებმა) შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციას და ამაზე სათანადო რეაგირება ხელისუფლებას არ მოუხდენია. ეს გამოიწვია იმან, რომ როცა ზაზა სარალიძემ აგინა, აფურთხა და თავი გაუტეხა პოლიციელს, ხელისუფლებამ ესეც „გადაყლაპა“. ამიტომ მივიღეთ დღეს კარვები ქალაქის ცენტრში. ეს იმ დროს, როცა სასამართლო პროცესი მიმდინარეობს ხორავას ქუცაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე და როცა დაკავებულია ყველა, ვისაც კი ოდნავ შემხებლობა ჰქონდა ამ ფაქტთან. სარალიძე ამბობს, რომ მას უნდა მკვლელის დაკავება და მან იცის ვინ არის ეს, მაგრამ არც სარალიძე და არც მისი მომხრეები, „გამომძიებლები“ კააა და ზვიად კუპრავა მკვლელის ვინაობას, რომელიც თურმე „გამოძიებით“ დაადგინეს, არ ასახელებენ. მაშ, რატომ დგას ქუჩაში სარალიძე და სანაცვეთი? რატომ შლიან კარვებს? სრულიად საქართველო ციხეში რომ ჩასვან? რას ითხოვენ? და, აი, აქაც, როცა ხელისგულზე დევს ყველაფერი, ხელისუფლება უძლურია შეაჩეროს პროცესები, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, მკვლელობაში დამნაშავის დაკავებას, ნამდვილად არ ეხება. საოცარია, მაგრამ ხელისუფლების წინააღმდეგ, ამ კონკრეტულ საქმეში, ამ ხელისუფლების მომხრეებიც აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, ისე, რომ არავინ აქცევს დეტალებს ყურადღებას. აქციის დროს სარალიძის დედას გული რომ შეუწუხდა, სიმართლის მაძიებლებმა გამოაცხადეს, პოლიციამ სცემაო, ამ დროს სარალიძის დედა აცხადებს, რომ მას გული შეუწუხდა და თავად დაეცა. მაგრამ ეს არაფერია, ამას არავინ აქცევს ყურადღებას, მთავარია ითქვა რომ ხელისუფლება შვილმკვდარ მამას დედა გაულახეს. რაც ეხება კარვების გაშლას, რაზედაც ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ თურმე კანონში აკრძალვა არ არსებობს. თბილისის მერიის ოფიციალური წერილიდან ირკვევა, რომ სარალიძისათვის არავის აუკრძალავს პროტესტის გამოხატვა, მას შესთავაზეს მოახლოებული ახალი წელი რომ არ ჩაეშხამოთ თბილისელებს, კარავი სხვაგან, სადაც თავად მოისურვებდა იქ გაეშალა. თუ სამართალზე და სამართლიანობაზე საუბრობს სარალიძე, წესით სასამართლოს წინ უნდა გაშალოს კარავი, იქ, სადაც საქმე განიხილება. მაგრამ არა, სარალიძეს იქ უნდა სადაც უნდა და სულ არ აინტერესებს, ახალ წელს, ბავშვები ნაძვის ხის ზეიმზე თუ მივლენ. რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება? არაფერს! რას გააკეთებდა სააკაშვილი? ყველაფერს. განა 26 მაისის აღლუმი სისხლით მორწყულ რუსთაველზე არ ჩაატარა?

●

რა ხდებოდა „გუშინ“, ნაცმოძრაობის დროს. გავიხსენოთ 2009 წლის თუნდაც ერთი თვის, აპრილის, ამბები.

2009 წლის 9 აპრილს მოჰყვა შემდეგი დღეები: 10 აპრილს მოძრაობის – „რატომ?“ – წევრებს: ირაკლი ხუხუნეიშვილს, ლაშა კოპალიანს, ოთარ ჭელიძეს, ნათია არჩვაძესა და ელენე ბარამიძეს ნიღბიანები მაშინ დაესხნენ თავს, როდესაც ისინი აქციიდან შინ ბრუნდებოდნენ. თავდამსხმელები ხელკეტებითა და ელექტროშოკით იყვნენ შეიარაღებული და მოძრაობის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ცემის შედეგად მოძრაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს ირაკლი ხუხუნეიშვილს ტვინის შერყევა დაუდგინდა.

10 აპრილს ავლაბრის მეტროსთან დავით ახალაძეს ნიღბიანმა პირებმა მანქანა დაუმტვრიეს და მანქანაში მჯდომ ერთ-ერთ მგზავრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

10 აპრილს შარაშიძის ქუჩა N-24-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფილ პარლამენტარ ბაკურ გულუას კუთვნილ ავტომანქანას მინები ჩაუმსხვრიეს. ყოფილი დეპუტატი მომხდარს პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

12 აპრილს, დაახლოებით ღამის სამ საათზე, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე გამოჩნდა ხელკეტებით აღჭურვილი 50-მდე პირი. დაიწყეს ჩხუბი, დაამტვრიეს აპარატურა და მოშალეს სცენა.

12 აპრილს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ სამ წევრს სცემეს.

70 წლის მომიტინგეს თავდამსხმელებმა თავი გაუტეხეს და მას პირველადი სამედიცინო დახმარება ექიმთა კომიტეტის ხელმძღვანელმა აღმოუჩინა.

13 აპრილს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წევრებზე თავდასხმა მოხდა. სცემეს გოჩა თევზაძეს, ლაშა კუჭავასა და ლევან კოტეტიშვილს, ასევე ტაქსის მძღოლ თემურ ბუნტურს. დაზარალებულებს საკვები მიჰქონდათ მომიტინგეებისთვის. ისინი პეკინის ქუჩიდან მიემართებოდნენ რუსთაველის გამზირისკენ. ტაქსიში ჩასხდომის დროს მათ თავს დაესხა 10-მდე პიროვნება და სცემეს.

ტაქსის მძღოლის განმარტებით, თავდამსხმელები იყვნენ “ BMW”-ს მარკის ავტომობილით, რომლის სერიაა LAS433. თავდამსხმელებმა დაამტვრიეს ტაქსი.

13 აპრილს ორგანიზაციის „ალიანსი – საქართველოსთვის“ – სამგორის რაიონის ახალგაზრდული შტაბის უფროსს შმაგი გელბახიანს სასტიკად სცემეს, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

14 აპრილს ავლაბრის მეტროსთან სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა სცემა ჰამლეტ გულორდავას, რომელიც აქციიდან სახლში მიდიოდა. თავდამსხმელი „მერსედესის“ მარკის „ჯიპიდან“ გადმოვიდა.

14 აპრილს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ახალგაზრდა – გიორგი ონიანი და მამუკა გირგვლიანი დაჭრეს.

15 აპრილს ძმები იოსებ, ოთარ და ზურაბ მანჯავიძე ნიღბიანმა და ხელკეტებით შეიარაღებულმა პირებმა, (დაახლოებით 8–9 კაცი) ხელკეტებით შემტვრიეს მანქანის წინა მინა და მანჯავიძეები სასტიკად ცემეს.

ზვიად ლიჩელისა და ვახტანგ ივანიშვილის განმარტებით, ისინი იმყოფებოდნენ პრეზიდენტის რეზიდენციის წინ მიმდინარე აქციაზე. დაახლოებით 24 საათზე მათ დატოვეს აქცია. საკვების საყიდლად წასულებმა შენიშნეს თეთრი ფერის “ნივა”, რომელიც მათ სიახლოვეს საეჭვოდ მოძრაობდა. ზვიად ლიჩელმა და ვახტანგ ივანიშვილმა გადაწყვიტეს უკან, აქციაზე დაბრუნება. ამ დროს ავტომანქანიდან უცნობმა პირმა დაუძახა: – “ერთი წუთით, ბიჭებო”... ამის შემდეგ მათ წინ გადაუდგათ “მერსედესის” მარკის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა ხელკეტებით შეიარაღებული ოთხი უცნობი პირი. შემთხვევის ადგილზე ოთხი ავტომანქანა იმყოფებოდა. თავდამსხმელებმა ზვიად ლიჩელსა და ვახტანგ ივანიშვილს სცემეს.

15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტება მისცა საპროტესტო აქციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა გოჩა სახლთხუცესშვილმა. მისი განმარტებით, 15 აპრილს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე მას თავს დაესხა 3–4 ადამიანი, რომელთაც გადმოაგდეს სახლთხუცესშვილი მანქანიდან და სცემეს.

15 აპრილს ხალხის პარტიის, თავისუფლების პარტიისა და გაერთიანების – “ალიანსი საქართველოსთვის” – სამ წევრს: გიზო სართანიას, ჰამლეტ გულორდავასა და მალხაზ ჩარკვიანს სცემეს. შემთხვევა ავლაბრის მეტროსთან მოხდა. მიტინგის მონაწილეები მანქანაში ჩასხდომას აპირებდნენ. მათ თავს დაესხნენ “მერსედესისა” და “ტოიოტას” მარკის ავტომანქანებით და სასტიკად გაუსწორდნენ. დაზარალებულები რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი განმარტებით, თავდამსხმელები შეიარაღებულები იყვნენ.

15 აპრილს, დაახლოებით 16 საათზე, ყოფილი პარლამენტარი, “ახალი მემარჯვენეების” წევრი დავით უჯმაჯურიძე გაიტაცეს. მას პირზე “სკოჩი” ააკრეს და სცემეს, წაიყვანეს ქალაქგარეთ და საგურამოში დააგდეს, ხოლო მისი ცეცხლწაკიდებული მანქანა ვაშლიჯვარში გადააგდეს.

16 აპრილს შალვა სადაღაშვილსაც დაესხნენ თავს. მისი განმარტებით, იგი “ეროვნული ფორუმის” წევრია და 16 აპრილს, გამთენისას, მორიგეობდა აქციაზე. ნიღბიანმა მამაკაცებმა სადაღაშვილი გადმოიყვანეს მანქანიდან და ხელკეტებით სცემეს.

16 აპრილს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან შეკრებილი აქციის მონაწილეებმა ის პიროვნება ამოიცნეს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იგი სისხლის სამართლის სამძებროს რუსთავის სამსახურის უფროსი იყო, თუმცა პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ წარმოუდგენია. სიტყვიერი შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა და რაზმაძე ტერიტორიიდან აქციის მონაწილეებმა მას შემდეგ გაიყვანეს, რაც იგი გაილახა.

18 აპრილს ინციდენტი მოხდა ქუთაისის მახლობლად. “დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს” აჭარის ორგანიზაციის წევრები: მალხაზ ბალაძე, თეიმურაზ მდივანი, ჯონი ტერეიშვილი და გელა დათუნიშვილი თბილისიდან ბათუმში ბრუნდებოდნენ. თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანთან ისინი ოთხმა ავტომანქანამ ალყაში მოაქცია. 15-ოდე ნიღბიანმა მათ მანქანის ტყეში შეყვანა მოსთხოვა, თუმცა, ოპოზიციის აქტივისტებმა მოასწრეს საპატრულო პოლიციის გამოძახება.

25 აპრილს თბილისში, ჩიტაძისა და ინგოროყვას ქუჩების კუთხეში, განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე, რომლის მოვალეობაა, გააკონტროლოს, პოლიციელები იცავენ თუ არა კანონსა და პოლიციის ეთიკის კოდექსს, თავად „ნადირობდა“ თანამშრომლებთან ერთად პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებზე. მოქალაქე თენგიზ ბერიძეს ესროლეს ე.წ. „კისტის“ თოფი, ხოლო გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე მომიტინგეებისთვის წყლით სავსე პარკების სროლით „ერთობოდა“. თუმცა 2008 წლიდან იგი კვლავ განაგრძობს მუშაობას.

ეს არის ერთი საპროტესტო აქციის მოკლე ქრონოლოგია, მსგავსი არა ერთი აქციის შედეგების გახსენება შეიძლება. არაფერს ვიტყვით, 26 მაისის, 7 ნოემბრის დარბევებსა და უკანონობაზე, ამ თემებზე ბევრი ითქვა და დაიწერა.

„ნაცმოძრაობა“ არბევდა თავის ამომრჩეველს, მაშინ, როცა ხედავდა, რომ ამომრჩეველი არ ეგუება უკანონობას, უსამართლობას, კორუფციას, ჩინოსანთა ჩადენილ ყველა იმ დანაშაულს, რასაც ზიანი მოაქვს ხალხისთვის, „ნაცმოძრაობა“ საპროტესტო განწყობის ჩასახშობად მიდიოდა ყველა სახის დანაშაულზე, მათ შორის, ისეთზეც, რასაც უმძიმესი დანაშაული – სიცოცხლის მოსპობა ქვია.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რა დასკვნები გამოიტანა მსოფლიომ ასი წლის წინათ დაშვებული შეცდომებიდან?

საუკუნე გავიდა პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან, ანუ იმ ომიდან, რომელიც ისტორიკოსებმა ერთ-ერთ უდიდეს სისხლისმღვრელ ომად აღიარეს. ამ ომმა 18 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მართალია, იმ დროს „ისპანკად“ წოდებული გრიპიც მძვინვარებდა, რომელმაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ საომარმა მოქმედებებმა თავისი გააკეთა. 1918 წლის 11 ნიოემბერს, დილის 5 საათზე, პარიზის შემოგარეში, კამპენსკის ტყეში, მატარებლის მარშალ პოშის ვაგონში ანტანტის წარმომადგენლებმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტაზე. დილის 11 საათიდან კი შეწყდა საომარი მოქმედებები. აღნიშნული ადგილი იმის გამო აირჩიეს, რომ გერმანიის დელეგაციისთვის დამცირება და შეურაცხყოფა აერიდებინათ. უნდა გავიხსენოთ 1940 წელი, როდესაც პირსისხლიანმა ჰიტლერმა სწორედ ამ ვაგონში მოაწერინა ხელი ფრანგებს კაპიტულაციაზე, რის შემდეგაც ის დაწვეს. თუმცა ფრანგებმა ისტორიული ვაგონი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აღადგინეს. გამარჯვებულმა მხარემ ანტანტამ გერმანიას მკაცრი რეგულაციები დაუწესა. თუმცა ისტორიკოსების მტკიცებით, პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული არ ყოფილა.

ადამიანური მსხვერპლის გარდა, ომმა სხვა უმძიმესი შედეგებიც მოუტანა სამყაროს. კერძოდ, დაინგრა ოთხი დიდი იმპერია — ოსმალეთის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და გერმანიის. მსოფლიოში დაისადგურა ეკონომიკურმა კრიზისმა, რუსეთში მოხდა ერთბაშად ორი რევოლუცია (გადატრიალება), რომლებმაც თავისი უარყოფითი როლი ითამაშეს სამყაროში. ისტორიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ სწორედ ომში დამარცხებამ შეუწყო ხელი გერმანიაში ფაშიზმის აღორძინებას.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების 100 წლისთავის აღსანიშნავად პარიზში პომპეზური ღონისძიება გაიმართა. საფრანგეთის დედაქალაქში 70-მდე ქვეყნის პირველი პირები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ჩავიდნენ. ღონისძიება 11 ნოემბრამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. თავდაპირველად პარიზს ორი დღით ადრე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი ეწვია, რომელმაც ყვავილებით შეამკო ბრიტანელი ჯარისკაცების საძმო საფლავი. თუმცა ძირითად ღონისძიებაზე არ დარჩა. რატომ, უცნობია.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დღეს, 11 ნოემბერს დილით საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა და გერმანიიც კანცლერმა ანგელა მერკელმა კამპენსკის ტყეში დადგეს მემორიალური დაფა, ისტორიულ ვაგონში ისაუბრეს და სემორანდუმსაც მოაწერეს ხელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზეიმო ცერემონია მართლაც პომპეზური და სანახაობრივადაც ლამაზი სანახავი იყო. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მაკრონისვის საუკუნის ღონისძიება იყო, მან შეძლო დაპირისპირებული ქვეყნების თუნდაც ერთი დღით შეკრება. მშვიდობის ფორუმზე სიტყვით გამომსვლელი პოლიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს.

მიუხედავად საუკეთესოდ გამართული საზეიმო ცერემონიისა, მაკრონს გულში ხინჯი მაინც დარჩა — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამჯერად აშკარად ცივად შეხვდა, ხელიც არ ჩამოართვა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩათ ექსპერტებს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მაკრონის იდეა ევროკავშირში შეიქმნას დამოუკიდებელი თავცადვის სისტემა, ტრამპმა შეურაცხყოფად მიიღო. მით უფრო, მაკრონმა განაცხადა, ევროკავშირს დამოუკიდებელი სამხედრო შენაერთი რუსეთის, ჩინეთის და აშშ-სგან თავდაცვისთვის სჭირდებაო. ტრამპმა უკმაყოფილება ჯერ კიდევ პარიზში გამგზავრებამდე აშკარად გამოთქვა სოციალურ ქსელებში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროპას დასახელებული ქვეყნებიდან არავინ შეუტევს, მაკრონმა ტრამპს ამით პასუხი გასცა ნატოს საწევრო გადასახადის გაზრდაზეო. რომ

გორ დასრულდება ტრამპის და მაკრონის დაპირისპირება, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია.

პარიზში საზეიმო ღონისძიებას პოლიტოლოგები განსაკუთრებულად ელოდნენ. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ დაანონსებული იყო, რომ საფრანგეთის დედაქალაქში ერთმანეთს პირისპირ შეხვდებოდნენ დონალდ ტრამპი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. თუმცა საზეიმო ცერემონიამდე ემანუელ მაკრონმა მხარეებს სთხოვა, მათი შეხვედრა პარიზში არ გამართულიყო, რათა ამას საზოგადოების ყურადღება ძირითადი ღონისძიებიდან სხვა თემაზე არ გადაეტანა. მასპინძელ მხარეს პროტოკოლის შეცვლაც მოუხდა — ელისეის სასახლეში საზეიმო სადილზე ტრამპი და პუტინი არა გვერდიგვერდ, არამედ პირისპირ დასვეს. ასეთ პირობებში პირისპირ საუბარი შეუძლებელი იყო. თუმცა სადილის შემდეგ სასახლე ყველაზე ბოლოს, საკმაოდ მოგვიანებით ტრამპმა და პუტინმა დატოვეს. ჟურნალისტები თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ მათ ისაუბრეს. მათი ვარაუდი დაადასტურა პუტინის წარმომადგენელმა დიმიტრი პესკოვმა. თუმცა მას არ დაუზუსტებია, რა თემაზე ისაუბრეს პრეზიდენტებმა. ცნობილი გახდა, რომ ტრამპი-პუტინის შეხვედრა თვის ბოლოს არგენტინაში, „დიდი ოცეულის“ სამიტზე გაიმართება. არგენტინის პრესის ინფორმაციით, ტრამპმა ორგანიზატორებს სთხოვა, მისი არგენტინაში ვიზიტი ერთი დღით შეემცირებინა თ. პუტინი-ტრამპის პირისპირ შეხვედრა არგენტინაში კვლავ სათუო გახდა. მართალია თუ არ არგენტინული პრესის ინფორმაცია, უცნობია. თუმცა მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ ორივე პრეზიდენტის მოქმედების წინასწარ გათვლა შეუძლებელია.

პოლიტოლოგები ვარაუდობდნენ, რომ გასულ კვირას აშშ-ში გამართული არჩევნები ტრამპისთვის ერთგვარი რეფერენდუმიც იქნებოდა. რესპუბლიკური პარტია ცდილობდა პროვინციული ქალაქების ამომრჩეველთა მხარდაჭერა მოეპოვებინა, დემოკრატები სხვადასხვა ელექტორატზე მუშაობდნენ. არჩევნები დასრულდა, მაგრამ ვინ გაიმარჯვა, ტრამპმა რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად თუ დემოკრატებმა, გაურკვეველია. ექსპერტები მიიჩნევენ, ანგარიში საყაიმოაო. დონალდ ტრამპს სენატში უმრავლესობა აქვს, კონგრესში კი დემოკრატებმა მოიპოვეს უპირატესობა. ექსპერტების განცხადებით, ძალთა ასეთი გადანაწილებით დემოკრატები პრეზიდენტის იმპიჩმენტს ვერ შეძლებენ, რადგან კონგრესის გადაწყვეტილებას სენატი დაბლოკავს. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებაში ტრამპს კონგრესი შეუშლის ხელს, რადგან ეს უწყება კურირებს საგარეო პოლიტიკას.

მრავალი ათწლეულის მანძილზე აშშ-ში რომ მწვავე პერიოდია, ამას თავად ამერიკელი პოლიტოლოგებიც ადასტურებენ. იმასაც ამბობენ, რომ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, შესაძლოა, 1860 წლის არჩევნებს დაემსგავსოს (იმ წლებში მოხდა აშშ-ში სამოქალაქო დაპირისპირება). ექსპერტები შიშობენ, რომ საზოგადოების დაყოფამ, შესაძლოა, ამერიკაში ახალი სამოქალაქო ომი გამოიწვიოს. ასევე აღნიშნავენ, რომ დღეს აშშ-ში „ცივი სამოქალაქო ომი“ უკვე მიმდინარეობს. ტრამპი დანებებას არ აპირებს. არჩევნების შემდეგ მან უკვე შეცვალა მთავარი პროკურორი. ამასთან, უკვე დააანონსა, რომ მეორე ვადითაც აპირებს პრეზიდენტობას, რისთვისაც უკვე დაიწყო ფინანსების მოძიება.

ახალი კონგრესი, რომელიც მუშაობას იანვრიდან შეუდგება, მრავალფეროვანია. იმის გარდა, საკანონმდებლო ორგანოში რომ ბევრი ქალია, არიან მუსულმანები, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებიც. არჩევნების დროს მოხდა კურიოზული შემთხვევა — ერთ-ერთ შტატში გაიმარჯვა პირმა, რომელიც არჩევნებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა. ფლორიდასა და ჯორჯიის შტატებში გუბერნატორების გამოსავლენად ხმების ხელახალი დათვლა მიმდინარეობს. რას მოუტანს აშშ-სა და სამყაროს იქ არსებული ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობა, სავარაუდოდ, მალე გამოჩნდება.

გერმანიაში გასულ კვირას გამოააშკარავეს მოქმედი სამხედრო მოსამსახურეთა რადიკალური დაჯგუფება, რომელიც პოლიტიკურ მკვლელობებს გეგმავდა. დაწვრილებით საქმის დეტალები გერმანულ პრესას ჯერ არ გაუშუქებია.

პოლიტიკური ვითარება ბუნდოვანი რჩება არა მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში, არამედ მსოფლიოში. გაითვალისწინებენ თუ არა პოლიტიკოსების საუკუნის წინანდელ შეცდომებს დღევანდელები და ააცილებენ თუ არა სამყაროს კატასტროფას, საკითხავია. პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ მთელმა რიგმა პოლიტიკოსებმა ბოლო 30 წლის განმავლობაში უკვე გაიმეორეს საუკუნის წინანდელი შეცდომები. როგორც ჩანს, ისტორია მართლაც მეორდება.

გია ბურდული
551 71 27 07

„მოგენატრათ ომვა? წაიკუზეთ, მოვა!“

სოფელ ატოცში, საოკუპაციო ხაზთან ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებმა რუს მესაზღვრეებს უკანალები მიუშვირეს. ვითომ მცოცავ ოკუპაციას ვაპროტესტებთო.

ქართველები ყველაფერში გამორჩეულები ვართ და ჩვენი უნიკალურობა კიდევ ერთხელ მთელ მსოფლიოსაც ვაჩვენეთ. ბოლო-ბოლო ბრძოლის ახალი მეთოდი გამოვიგონეთ — მტრებისთვის ტ-ების დამანგრეველი და გრანდიოზული მიშვერა.

შესანიშნავი იდეაა.

ეძებეს ბიჭებმა და მტრის გამანადგურებელ სტრატეგიას მიაგნეს. წინაპრები მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ და, აჰა, აქაც „მოუჯოკრეს“. ადრე ხმალ-ხანჯლით, თოფებით, ზარბაზნებით და ყუმბარებით რომ იბრძოდნენ, ახლებმა გამოიგონეს ბრძოლის ახალი მეთოდი.

გიგა მაქარაშვილი

არა, მართლა რა გულუბრყვილობები ყოფილან ძველები, რაღაზე ღვრიდნენ სისხლს და იხოცებოდნენ ბრძოლებში, მიეშვირათ უკანალები შაჰ აბასისთვის, აღა მაჰმად ხანისთვის, თემურ ლენგისთვის, ხომ დაამარცხებდნენ უსისხლოდ?!

ატოცში აქტივისტებმა, მათ ჭკუით, „სამოქალაქო გმირობა“ გამოიჩინეს. მესაზღვრე რუსებმა უყურეს, ცოტა ხანი, ჯერ გაკვირვებულები იდგნენ, მერე ნელ-ნელა შეტრიალდნენ უსიტყვოდ. ხომ კარგი სტრატეგიაა?! აი, თანამედროვე ბრძოლის ახალი და უნიკალური მეთოდი! თანაც ისე სწრაფად და ბუნებრივად ჩაიხადეს „ვაჟკაცებმა“. როგორც ჩანს, პირველად არ აკეთებდნენ ამას. ხშირად აქვთ შარვალი ჩანახადი და უკანალი განიავებული...

პრინციპში, ეს, ალბათ, მოთელვა იყო. თუ საქმეს დასჭირდა, ამბავში, სავარაუდოდ, წესით, მეგი გოცირიძეც უნდა ჩართონ. მასთან ერთად სხვა აქტიური, ენერგიული ლიბერალი ქალბატონებიც და გამოიყენონ ბუნებრივი, ორგანული აირებიც, მეტი ეფექტისთვის, მტრის გასაბრუებლად.

ასე მოუხდება მაგათ.

პირდაპირ მუხლები მოეცელებათ...

ჰოდა, როგორც ვხედავ, ჩვენ ამიერიდან, ომებს მოვიგებთ ტრაკებით.

ამ მიმართულებით ლიბერალები ისე აქტიურობენ, რომ ბოლო დროს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ველი განიტალიების დემონსტრირებითა და მასზე საუბრით არის გაჯერებული.

საქართველოში არსებობს ორგანიზაცია „ფუჩუ“.

ხშირად ისმის: პენისზე მკიდია, პენისის შვილი ვიყო, პენისი ხარ. თუმცა, ალბათ გიკვირთ, რომ არ არსებობს ორგანიზაცია „პენისი“.

რა დააშავა იმ პატიოსანმა ორგანომ? ისიც ჩართეთ საქმეში, მარტო ლაპარაკი რა არის?! არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას მისი სახელი რატომ არ ჰქვია?!

ზოგადად, ყველაფერში დამნაშავე და ყველაფრის თავი და თავი მაინც პენისია, მაგრამ არც ორგანიზაციას არქმევენ მის სახელს, არც მისი სახელობის აქციებს აწყობენ.

დიდი უსამართლობაა ეს, დიდი!

ადრე ერთი მოარული ანეგდოტი იყო. ქალის უკანალი „წუხდა“: პირველად ყველა მე მიყურებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, უფუნქციოდ ვრჩებიო.

ასეა პენისიც.

ყველა სიტყვაში მაგას ახსენებენ, ყველა გაფუჭებულ საქმეს პენისს მიაწერენ, ყველა ცუდ კაცს პენისის სახელით მოიხსენიებენ, მაგრამ ორგანიზაციას მის სახელზე არა და არ ქმნიან.

როგორც ვთქვი, აგერ ახლახან რუსებს უკანალები მიუშვირეს. პენისი ისევ „აბსაიდშია“.

საბრძოლო იარაღად, წინმსწრებად, ცოტა ხნით ადრე, ქართველ ლიბერასტებს წინა ხაზზე ძუძუები ჰქონდათ გამოტანილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მაგათ საქმეს არც „თავისუფალმა ძუძუებმა“ უშველა და არც ორგანიზაცია „ფუჩუმ“, ახლა უკანალები გამოიტანეს საშზეოზე...

ამ ორიოდე წლის წინათ, სხვა ლიბერასტებს, ხვანხვალ-ხუნტრუცით რომ ცდილობდნენ რუსების დაშინებას და დაჩმორებას, ერთმა ჩემმა კოლეგამ შეუძახა: მოგენატრათ ვოვა? წაიკუზეთ, მოვაო.

ეს ოჯახჭორები მართლა წაიკუზნენ.

ხოდა, ახლა ვოვა მართლა რომ მოვიდეს, მერე ნახეთ სეირი...

ხუმრობა იქით იყოს და, რაც ატოცში მოხდა უდიდესი სირცხვილი და თავის მოჭრა იყო, მეტი რომ არ ვთქვა.

გასაგებია, მარიხუანით კაიფი ბევრ სისულელეს გააკეთებინებს მაგათ, მაგრამ საოკუპაციო ზოლთან წავიკუზებით და მცოცავი ოკუპაცია შევიცოცოთო, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამას მართლა ვერ წარმოვიდგენდი.

თანაც აქციის მთავარი ფიგურანტი ის „პლანაქეში“ სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილი იყო, გორში ნეხვი რომ მიიტანა გამგეობაში და გამგებელმა თავზე რომ ჩამოამხო ის ნეხვიანი ვედრო. მერე ეს სამოქალაქო აქტივისტი გიგა ტელევიზიაში მიიწვიეს და იქ გოდებდა ქართული სამოქალაქო საზოგადოების სამომავლო პერსპექტივებზე, მერე მარიხუანაც გააბოლა ღია ეთერში, ახლა უკანალი გვაჩვენა...

ამ უტვინო პერფორმანსებით კავკასიაში ხომ მოგვჭრეს თავი, მსოფლიოშიც სალაპარაკო გაგვხადეს.

აი, სადამდე მიგვიყვანა 9-წლიანმა გაუპატიურებების საშინელებათა „სერიალებმა“.

ფსიქოლოგიაში დადასტურებულია, ძალადობის მსხვერპლი ისე ეგუება წამებას, რომ მერე ეს პროცესი ნორმალურობად ეჩვენება.

წამება შეიძლება ადამიანმა პირადად არ განიცადოს, მაგრამ სხვისი წამების პერმანენტული ყურება ან მოსმენა, მით უმეტეს, სუსტი ნერვების ადამიანს, მენტალურად აქცევს ძალადობის მსხვერპლად.

სამწუხაროდ, ამათ, ეს თავიანთი საქციელი მოსწონთ, მეტიც სიამოვნებასაც გვრით, ამიტომაც ვურჩევ: ჩვენ თავი დაგვანებონ და ხომ არსებობს ორგანიზაცია „ფუჩუ“, ახლა შექმნან ორგანიზაცია „ჭუჭუ“, ან ორგანიზაცია „ტრაკი“, პენისიც არ დაივიწყონ და აჩვენონ მტერს ძლევაი საკვირველი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მადლობა საპატრულო პოლიციას!

გასულ კვირას ასაკოვანი დედა ზუგდიდიდან თბილისში წამოვიყვანე. ექიმებთან კონსულტაცია ესაჭიროებოდა. ვმგზავრობდით თბილისი-ზუგდიდის მიკროავტობუსით. შევჩერდით ნახევარი საათით ზესტაფონის ტერიტორიაზე, სადაც საპირფარეშოს ხელსაბანზე დამრჩა საფულე.

უკვე კარგა ხნის მანძილი გვქონდა გავლილი, რომ გამახსენდა. თავზარი დამეცა. მაშინვე შევატყობინე 112 სამსახურს. 112-ის თანამშრომლებმა ინფორმაცია მყისიერად გადასცეს ზესტაფონის რაიონულ სამმართველოს და რაიონის საპატრულო სამსახურს. ისინიც ოპერატიულად გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე და საფულე გადმოგვცეს. საფულეში თანხა ხელუხლებელი იყო.

ამ წერილს მადლიერებით ვწერ. როგორც ყველა ჩვენგანს, უამრავჯერ გვიმგზავრია საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ყველა დროში, ყველა მთავრობის დროს, მაგრამ ახლა მინისტრის გიორგი გახარიას მმართველობის პერიოდში გაცილებით დაცულად ვგრძნობ თავს. ადრე სახლებს და ბიზნესებს ართმევდნენ ადამიანებს, არათუ დაკარგულ საფულეს გაპოვნინებდნენ, პატივისცემით და ყურადღებით ჩაგსვამდნენ ტრანსპორტში და კეთილ მგზავრობასაც გისურვებდნენ?!

უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა თქვენი გაზეთის საშუალებით ზესტაფონის კრიმინალური პოლიციის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს ბატონ ზაზა ცხადაძეს. თანამშრომლებს — ირაკლი თავაძეს, გიორგი ჟუმბურიძეს, პატრულ-ინსპექტორებს მამუკა აბულაძეს და ნუგზარ ფახურიძეს.

მადლობა, მეგობრებო გულისხმიერებისა და თანადგომისთვის! თქვენ ჩვენს უსაფრთხოებას სამაგალითოდ იცავთ!

იდღეგრძელეთ თქვენს ოჯახებთან ერთად.

ნინო გელოვანი, თბილისი

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge